F939 №F9010

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№1 (1511) 6–9 იანვარი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნუგზარ ფოფხაძე: პატიაშვილს ნუ ეწყინება თუ ვიტყვი, რომ...

მეორე გვერდი

## 19 მწარე შეკითხვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ვარდიკო ნადიბაიძეს

მესამე გვერდი

## სიახლე ჩვენს გაზეთში

ერთ დროს დატყვევებული ნაწარმოებები

მიხეილ ჯავახიშვილის „დამღნარი ჯაჭვი“

ძველი ლექსები ახალი სათქმელით

ცა წვიმით თავზე გვემხობა,
უგზობა, უფარეხობა...
იკმარე, მეხო, მეხობა,
ჩვენ ჩვენი დარდიც გვეყოფა.

მე-6,7,8 გვერდი

## „იელოვას მოწმეების“ სექტის შესახებ

მეათე გვერდი

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

გალაკტიონ ტაბიძე «მე და ღამე»

მეხუთე გვერდი

## ტესტი პედაგოგებისათვის

მეათე გვერდი

## სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, მინისტრებს, პარტიათა ლიდერებს, ვინც გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორსა და კოლექტივს მოგვილოცეს ახალი წელი

ბატონებო, თქვენმა ყურადღებამ და გულისხმიერებამ ჩვენნაირ „უსისხლო“ ხალხზეც კი ერთობ ამაღელვებლად იმოქმედა. მით უფრო იმ მინისტრების მილოცვამ, რომელთა პერსონებისათვის ჩვენს გაზეთს პილპილმოყრილი წერილები უძღვნია.

გისურვებთ ახალი 1997 წლიდან სახელმწიფოს და, აქედან გამომდინარე, თქვენი და ჩვენი პირადი წარმატებებისათვის თქვენ, ჩვენ და ჩვენს ხალხს ერთ გუნდში „გვეთამაშოს“ და მხოლოდ იმაზე გავწყრომოდით ერთმანეთს, მტრის კარში თუ ვერ გავიტანთ გოლს. პირველსა და მეოთხე ხელისუფლებას ერთმანეთის კარი არ ჰქონდეს ასაღები. სიხარული მოენიჭებინოს მხოლოდ მტრის დამარცხებას, რომელიც, საუბედუროდ, არ აკლია საქართველოს...

ნოდარ ბრიგალაშვილი
გაზეთ „საქართველოს“ მთ.რედაქტორი

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მკვლევარისათვის

# ნუგზარ ფოფხაძე:

# პატიაშვილს ნუ ეწყინება თუ ვიტყვი, რომ...

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო“ №70,71,72, 1996 წ.

– უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენი ნაამბობის შემდეგ ეჭვი გამიჩნდა, ღირს კი დაგისვათ ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო კიდევ ერთი შეკითხვა, რომელიც ეხება მეორე ტრიადას – „გუმბარიძე-ნიკოლსკი-ფოფხაძე“. არადა აქამდე, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ეს ალიანსი 9 აპრილის შემდეგ „შეიკრა“ და მას ბევრი „რამ“ მიეწერა. თქვენი წინა პასუხიდან კი გამოდის, რომ ესეც–

– ...ფოლკლორია, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ.

ვგონებ, ერთხელ უკვე გითხარით, ახლაც და შემდგომაც, როცა კიდევ „დაიმოწმებთ“ საზოგადოებისთვის ასეთნაირ. „ურყევად ცნობილ“ ფაქტებს, შეგახსენებთ: ის, რაც ამ გზით და ასეთნაირად „იცის“ საზოგადოებამ, ყოველთვის არ არის ჭეშმარიტება.

ხმების გავრცელების უძველესი მეთოდიკა ჩვენი „ტექნოლოგიების რევოლუციის“ ხანაში ისეთი მექანიზმებითა და საშუალებებით შეიარაღდა, რომ ორი საათია საკმარისი, მთელი საქართველო თუ არა, ნახევარი მაინც „ურყევად“ დააჯერო ამა თუ იმ ფანტასტიკურ „ჭეშმარიტებაში“. მით უმეტეს როცა წყარო ისეთი „ავტორიტეტულია“, როგორც ჩვენს შემთხვევაში.

არავითარი ტრიადა „გუმბარიძე-ნიკოლსკი-ფოფხაძე“ არც ყოფილა და არც შეიძლებოდა, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვა, „შეკრულიყო“, ამას არ ჰქონდა არც მორალური და არც მატერიალური საფუძველი.

თვითონ დარწმუნდით: ცკ-ს პლენუმი, რომელზედაც პატიაშვილი გაუშვეს და გუმბარიძე „აირჩიეს“, 14 აპრილს გაიმართა. როგორც ადრე გითხარით, რამდენიმე დღეში სამსახური მივატოვე. აპრილის ბოლოდან თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ დოკუმენტს, ვერც ერთ ოქმს, რომელშიც დაფიქსირებული იყოს არამცთუ ჩემი აქტიური მონაწილეობა, არამედ უბრალო დასწრებაც კი რომელიმე ოფიციალურ შეკრებაზე. ამას სინანულისა და საყვედურის გარეშე ვამბობ – ცკ-ს მდივანს არცკი მატყობინებდნენ ბიუროსა თუ პლენუმის ჩატარების შესახებ.

რაც შეეხება ნიკოლსკის, იგი თბილისში აღარ ყოფილა 11 მაისიდან.

გეკითხებით, რა ალიანსი შეიძლებოდა ამ პირობებში შექმნილიყო, თუნდაც ფიზიკურად? თანაც, გუმბარიძე იმ დროისთვის ჩემთვის აღარ გახლდათ „TERRA INCOGNITO“. თუ პატიაშვილთან პრინციპული საქმიანი ურთიერთობის პარალელურად არსებობდა პიროვნული ლოიალურობა, ეს დაფუძნებული იყო ახალგაზრდულ წლებში დაწყებული ამხანაგური კავშირით, რომელიც ბოლომდე გასაწყვეტად, ეტყობა, არც ერთს არ გვემეტებოდა.

გუმბარიძის მიმართ ეს პრობლემა არ მაწუხებდა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ახალმა ცკ-ს პირველმა მდივანმა ურცხვად განაცხადა, რომ 9 აპრილის „დამსჯელი აქციის“ ჩატარების გადაწყვეტილების შესახებ მას – სუკის თავმჯდომარეს, თურმე ნუ იტყვით, მხოლოდ 10-15 წუთით ადრე შეუტყვია, მის გვერდით ყოფნას არავითარი მორალური ვალდებულება აღარ მაიძულებდა.

რაც შეეხება ე.წ. „მაღალ მატერიებს“, 9 აპრილიდან სრულიად ახალი რეალიები შეიქმნა, და თუ კაცს ოდნავ მაინც გქონდა სინდისი და აზროვნების უნარი, განზე უნდა გამდგარიყავი.

– გაზეთში გამოქვეყნებულ ჩვენს წინა შეკითხვას მეორე ნაწილიც აქვს, რომელიც 9 აპრილისთვის პასუხისმგებლობის გადანაწილებას ეხება...

– რა თქმა უნდა, შევამჩნიე. ისიც, რომ პასუხისმგებლობის გადანაწილების აქცენტი გადატანილი გაქვთ ისევ და ისევ ამ ტრიადაზე.

მიუხედავად იმისა, რომ წინა პასუხიდან უნდა დარწმუნებულიყავით ამ ტრიადის არარეალურობაში, თემა მაინც გავაგრძელოთ.

ზოგადად, 9 აპრილისთვის პასუხისმგებლობის საკითხი ცალკე თემაა და დიდ დროს და გულმოდგენე ანალიზს მოითხოვს. ხელმძღვანელობის დასჯა პოლიტიკურ-თანამდებობრივი პასუხიმგებლობის საზღვრებს არ გასცილებია. ეს მარტო სამართლებრივი საკითხი არ გახლავთ, აქ მაშინდელი პოლიტიკური კონიუნქტურაც იყო გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში უკმარისობის გრძნობა და საზოგადოების დაუკმაყოფილებლობის საფუძველი აშკარად არსებობს.

რაც შეეხება კონკრეტულად ამ შეკითხვას: ნიკოლსკიმ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობა დაკარგა და, ისევე, როგორც პატიაშვილისა, მისი პოლიტიკური კარიერაც დაიმსხვრა. თქვენს მონამორჩილსაც თავისი „მიეზღო“. უფრო დაწვრილებით ამაზე საუბარს შემდეგ შეკითხვაზე პასუხისას განვაგრძობ.

გუმბარიძე არ დასჯილა. მისთვის, ალბათ, „დასჯა“ ის იყო, რომ ჩამოაშორეს „საყვარელ“ საქმეს – სუკს, რისთვისაც, ჩემი აზრით, მოწოდებული იყო, და დანიშნეს... რესპუბლიკის ხელმძღვანელად! მაგრამ, ეს არც ისე მარტივი საკითხია, რომ პასუხი იუმორით გავაზავოთ.

მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის, მით უმეტეს, სამართლებრივი პასუხისგების საკითხი საერთოდ არ დასმულა. ჯერ ერთი, რის საფუძველზე უნდა დასმულიყო, კონკრეტულად (!) რა ვიცოდით მაშინ ისეთი, რომ?.. და მეორე, ამაზე მაშინ სერიოზულად არც არავის უფიქრია. მაშინდელ ვითარებაში ფიქრი კი არა, წარმოთქმაც კი ნორმალური ადამიანისგან არა მარტო პოლიტიკური სიბეცე, არამედ პროვოკაციაც კი იქნებოდა. ვიმეორებ, ყველა ნორმალური ადამიანისგან.

გავიხსენოთ იმდროინდელი ექსტრემალური ვითარება, როცა თბილისი „კომენდანტის საათის“ ატმოსფეროში ცხოვრობდა. პირველი რიგის აუცილებლობა გახლდათ დაძაბულობის სასწრაფოდ განმუხტვა, პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევა, „ელემენტარული“ საკითხების – პურით მომარაგება, ტრანსპორტის მუშაობის აღდგენა და სხვა – მოგვარება, ერთი სიტყვით, ცხოვრების ნორმალური რიტმის აღდგენა, რაც, როგორც ჩანს, რესპუბლიკის პირველ ხელმძღვანელთა შეუცვლელად ძნელდებოდა.

– თქვენი აზრით, სწორი იყო გუმბარიძის პირველ მდივნად დანიშვნა?

– უყოყმანო პასუხი ამ შეკითხვაზე გამიძნელდება. თანაც – ორი სიტყვით. მაგრამ ერთ მოსაზრებას მაინც გაგიზიარებთ.

პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს თავი რომ დავანებოთ, მომავალი „პირველი“ ცენტრისათვის ყოველმხრივ სანდო კაცი უნდა ყოფილიყო – ზოგადად და ამ კონკრეტული ექსტრემალური ვითარების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ გუმბარიძე, ალბათ, ყველაზე მისაღები კანდიდატურა უნდა ყოფილიყო. რატომ? გადაჭრით ვერ გეტყვით. ჩვენ ხომ ზუსტად ისიც არ ვიცით, გუმბარიძე რა ინფორმაციას აწვდიდა ცენტრს. უეჭველია, რომ ეს მოხსენებები წყალს სუკისა და მისი ხელმძღვანელის წისქვილზე ასხამდა.



გასათვალისწინებელი იყო საზოგადოების რეაქცია რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელის პოსტზე ამა თუ იმ პიროვნების დანიშვნაზე. პოლიტბიუროს წარმომადგენლები დილიდან ღამემდე ხვდებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს. გახსოვთ შეხვედრები კინოსტუდიაში, მეცნიერებათა აკადემიაში, უნივერსიტეტში... იყო პირადი კონტაქტებიც, განსაკუთრებით პარტიულ და ინტელიგენციის ელიტასთან. აი, იქ ხდებოდა, თუ ხდებოდა, „ჩაშვება“ და პირადი ანგარიშსწორება...

მაქსიმალური დატვირთვით მუშაობდა იმდროინდელი სახელმწიფო მანქანა – არა მარტო სუკი, არამედ სამხედრო დაზვერვა და სხვა სპეცსტრუქტურები. შეგვიძლია ისიც ვივარაუდოთ, რომ მათი ოფიციალური ინფორმაციაც გამიზნულად მიეწოდებოდა პოლიტბიუროს. სუკის როლი საზოგადოების რეაქციის გათვლისას, ალბათ, გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაშიც ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა „აქცენტები“ გაკეთდებოდა.

მით უმეტეს, იმ დროს მოსკოვური „დესანტის“ შემადგენლობაში თბილისში ბრძანდებოდა სსრ კავშირის სუკის თავმჯდომარის მოადგილე ბობკოვი, იდეოლოგიური და ეროვნული საკითხების პრობლემების კურატორი, რომლის რჩევა და შეფასება, პრაქტიკულად, ყველაზე წონიანი იქნებოდა.

პირველი მდივნის კანდიდატურის შერჩევისას, რა თქმა უნდა, შევარდნაძის ფაქტორი შეუძლებელია მეორეხარისხოვანი ყოფილიყო. მაგრამ მისი გამოცდილებისა და სიფრთხილის კაცი, ვფიქრობ, ყველაფერს ილონებდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება პოლიტბიუროსა და გორბაჩოვს მიეღოთ. მით უმეტეს, მასაც მიჩენილი ჰყავდა „თვალი“ – გ.რაზუმოვსკი – პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცკ-ს მდივანი, რომელიც ცენტრში საორგანიზაციო და საკადრო საკითხებს განაგებდა.

არ ვიცი, ბიუროს მაშინდელ წევრებთან „შინაურულ საუბრებში“ ამ კანდიდატურისადმი რა დამოკიდებულება გამომჟღავნდა, მაგრამ პლენუმის წინ ბიუროს სახელდახელო შეკრებაზე მას ერთხმად დაუჭირეს მხარი, მათ შორის – პატიაშვილმაც.

ჩემი მხრივ, პირისპირ საუბარში, ჩამოვაყალიბე სამი მოთხოვნა, რომელიც მიმაჩნდა, რომ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული კანდიდატურის შერჩევისას: პირველი და გადამწყვეტი – მას არანაირი ფორმით არ უნდა ჰქონოდა მოკიდებული 9 აპრილის პასუხისმგებლობის „ტვირთი“; მეორე – იგი „ნაცნობი“ უნდა ყოფილიყო ფართო მასებისთვის, ისევე, როგორც თვითონ კარგად უნდა ცნობოდა რესპუბლიკა; მესამე – მისთვის გარანტირებული უნდა ყოფილიყო გორბაჩოვის პირადი მხარდაჭერა.

ამ მოთხოვნებს სრულად მაშინდელი ბიუროს ვერც ერთი წევრი ვერ აკმაყოფილებდა და მე გამოვრიცხავდი მისი შემადგენლობიდან რომელიმე მათგანის პირველ მდივნობას. როგორც ჩანს, პირადად მე ვცდებოდი და ეს დაადასტურა საქართველოს საზოგადოებრივმა აზრმა, რომელმაც გუმბარიძის დანიშვნა საკმაოდ მშვიდად, ნორმალურად მიიღო, უფრო მეტიც, „რაღაცეები“ დაუჯერა და შემდგომ, ძირითადად, მხარიც დაუჭირა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუმბარიძის დაწინაურების გადაწყვეტილება, იმ დროისათვის, პოლიტიკურად გამართლებული იყო.

ასე რომ, გუმბარიძის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა იმ ვითარებაში, დღევანდელი გადასახედიდანაც კი წარმოუდგენელია. მით უმეტეს, ბევრი რამ მერე გამომჟღავნდა. შემდგომ, რა გასაკვირია, ყველაფერი ელონა იმისათვის, რომ სუკის და მისი პირადი როლი 9 აპრილის ამბებში მისთვის სასურველი ფერებით დახატულიყო. სობჩაკის კომისიამაც, ეტყობა, ანგარიში გაუწია „პოლიტიკურ მომენტს“ და აღარ „იაწყვა“ ახლად გამომცხვარ პირველ ხელმძღვანელს. მაგრამ ყველაზე ფასდაუდებელი და „უანგარო“ სამსახური ახალ პირველ მდივანს, მაინც, რესპუბლიკის პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ, აწ განსვენებულმა თ.შავგულიძემ გაუწია. პრაქტიკულად, მან ვიზა მისცა გუმბარიძისგან არჩეულ „არაფრის ცოდნის“ ტაქტიკას.

ჩემი აზრით, ეს უხეში პოლიტიკური და ზნეობრივი შეცდომა იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვის რად ენდომებოდა ისეთი სუკი და მისი შეფი, რომელმაც „არაფერი“ იცოდა ისეთ „რიგით“ მოვლენაზე, როგორიც „9 აპრილი“ გახლდათ?.. ამ შემთხვევაში პატიაშვილი, რა თქმა უნდა, სწორია, ისევე, როგორც კომისიის საბოლოო დოკუმენტის შეფასებისას, რომ ჭეშმარიტების დასადგენად საჭიროა სუკის იმდროინდელი დოკუმენტების გამომზეურება.

რაც შეეხება დანარჩენების პასუხისმგებლობას, ბარემ დამისვით ნუმერაციის მიხედვით მეექვსე კითხვა, რომელშიაც ეს საკითხი კვლავ არის წამოწეული და ორი კურდღელი ერთად დავიჭიროთ.

– თანახმა ვარ. შემდეგი შეკითხვა ასეთია: პატიაშვილმა ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ამასწინანდელ ინტერვიუში განაცხადა: „...რაც შეეხება იმ „გუნდს“, რომელთანაც 9 აპრილამდე ვმუშაობდი და ვისაც უნდა გაეზიარებინა პასუხისმგებლობა მომხდარ ტრაგედიაზე, თითოეულმა მათგანის შემდგომმა დაწინაურებამ თვალნათლივ დამანახა, თუ ვისი ყოფილა სინამდვილეში ეს „გუნდი“.

– წინა პასუხებში, შეძლების-

გაგრძელება მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 19 შეკითხვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ვარდიკო ნადიბაიძეს

1. ბატონო ვარდიკო, ბოლოს და ბოლოს როდის გაეცემა პასუხი კითხვას: რატომ მსახურობს საქართველოს თავდაცვის მინისტრის შვილი უცხო ქვეყნის არმიაში?

2. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ახლანდელ თანამდებობაზე თქვენ მოსკოვის დანიშნული ხართ. რა როლი ითამაშა რუსეთმა საქართველოს ხელისუფლების არჩევანში? შევარდნაძესაც ხომ წამოსცდა ხუმრობაგაშვებით: რად უნდა რუსეთს აქ აგენტი, როდესაც ვარდიკო ნადიბაიძე აქა ჰყავსო?

3. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ გენერლის წოდება და წითელი ვარსკვლავის ორდენი 9 აპრილის ტრაგედიიდან რამდენიმე დღეში მოგენიჭათ. რა იყო თქვენი სამსახურის ასეთი მოულოდნელი დაფასების მიზეზი მაშინ?

4. თქვენი ყოფილი უფროსი, რუსეთის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე გენერალი ბეპაევი აქტიურად ეხმარებოდა 1992 წლის გადატრიალების შედეგად მოსულ ხელისუფლებას. რაში მდგომარეობდა თქვენი როლი იმ პერიოდში და მას შემდეგ, რაც ბეპაევის ადგილი დაიკავეთ და აფხაზეთში ომის დროს ამიერკავკასიის ოლქის მთელი შეიარაღება გებარათ? რით ეხმარებოდით ქართულ არმიას?

5. როდესაც ქვეყანას აფხაზეთში ყველაზე ძალიან უჭირდა რატომ არ მიატოვეთ რუსული ჯარი და მრავალი ქართველი ოფიცრის მსგავსად, ეროვნულ არმიაში არ გადმოხვედით? ნუთუ მხოლოდ მინისტრის სკამი გაკმაყოფილებთ სამშობლოს სამსახურში?

6. ვისგან მომდინარეობდა გრაჩოვის მონათვლის ინიციატივა და რა მისცა ამან საქართველოს?

7. თქვენი, როგორც თავდაცვის მინისტრის მთავარ პლუსად თვლიან პირად მეგობრობას რუსეთის მაღალ სამხედრო წრეებთან. რა შეძელით ამ მეგობრობის წყალობით ჩვენი არმიისთვის?

8. როგორც კონტრადმირალმა ჯავახიშვილმა განაცხადა, თქვენ გყავთ თვითმფრინავი, რომელსაც „მფრინავ სამვარსკვლავიან სასტუმროს“ უწოდებენ. ამავე დროს, ე.შევარდნაძის საზღვარგარეთ ვიზიტებისას მისთვის გამოიყოფა ავიაკომპანია „ორბის“ თვითმფრინავი, რომელსაც ხსნიან სკამებს და საგანგებო სალონებს ამონტაჟებენ. თქვენ, კომფორტული თვითმფრინავის პატრონს, არასოდეს გიგრძვნიათ უხერხულობა პრეზიდენტის წინაშე, რომელსაც ასეთი არაფერი აქვს? არასდროს შეგითავაზებიათ თქვენი „სამვარსკვლავიანი სასტუმრო“ შევარდნაძისთვის?

9. ალბათ, არ გსიამოვნებთ იმ ისტორიის გახსენება, როგორ დაგაკავეს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჩვეულებრივმა რიგითმა რუსმა მესაზღვრეებმა ადლერის აეროპორტში. რა იყო იმ დაკავების მიზეზი?

10. ამ ორიოდე წლის წინ ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა სტატია, რომელიც ასაბუთებდა, რომ თავდაცვის სამინისტროში ტარდებოდა საშტაბო სწავლებები, სადაც მოწინააღმდეგედ თურქეთი იყო გამოყვანილი. რამდენად გონივრულია ასეთი ღონისძიებანი?

11. თქვენზე ამბობენ, რომ ძალიან არ გიყვართ ნატო. კერძოდ, რამდენიმე თვის წინ ესენგეს თავდაცვის მინისტრთა შეკრებაზე რუსი კოლეგის თხოვნით ხელი მოაწერეთ დოკუმენტს, რომელიც გმობდა ბლოკის აღმოსავლეთით გაფართოებას, თუმცა პრეზიდენტისაგან არავითარი უფლებამოსილება არ მიგიღიათ. ასევე ამბობენ, რომ ხელს უშლით თქვენს ოფიცრებსა და კურსანტებს ნატოს სასწავლებლებსა და მანევრებზე გამგზავრებაში. რა დაგიშავათ ნატომ?

12. ბევრს საუბრობენ თქვენს თვითნებობაზე მაღალ სამხედრო ჩინთა დანიშვნა-განთავისუფლებისას. უკანასკნელი მაგალითია კონტრადმირალი ჯავახიშვილი, რომელიც ამტკიცებს, რომ თანამდებობიდან გაანთავისუფლეთ იმიტომ, რომ თქვენი ერთად მუშაობა შეუძლებელი იყო და "მძღოლ ნადიბაიძეს" არაფერი ესმოდა ფლოტის. უფრო ადრე მოიხსნა გენერალი ნიკოლაიშვილი, თქვენი პირველი მოადგილე და მთავარი შტაბის უფროსი, მიზეზი კი ბოლომდე გაუგებარი დარჩა. ხომ ვერ აგვიხსნით, რაშია თუნდაც ამ ორ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე?

13. აფხაზეთის ომი მშვენიერი მაგალითი იყო იმისა, რომ ჩვენი რელიეფის ქვეყანას ხშირად ტანკებზე მეტადაც ესაჭიროება სამთო ქვედანაყოფები, რომლებიც შეძლებენ სპეციფიურ მთაგორიან პირობებში სამხედრო წარმატების მიღწევას. რატომ არ იქმნება ქართულ ჯარში ასეთი ქვედანაყოფები? იმიტომ ხომ არა, რომ ისინი რუსულში არაა?

14. როგორც მინისტრი, რას გვპირდებით – რამდენ წელიწადში ეყოლება საქართველოს არმია, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებს ქვეყნის დაცვას?

15. ხომ არ არის დრო, საქართველო თუნდაც რუსეთის მსგავსად გადავიდეს ისეთ სისტემაზე, სადაც თავდაცვის სამინისტროსა და მთავარი შტაბის ფუნქციები გამიჯნული იქნება და მინისტრად პოლიტიკოსს, სამოქალაქო პირს დანიშნავენ?

16. 1989 წლის 9 აპრილისთვის თქვენ ბრძანდებოდით გენერალ როდიონოვის მოადგილე, ბუნებრივია, ჩახედული ხართ სამხედრო შტაბის იმდროინდელ სამზარეულოში. რას გაიხსენებთ იმ დღეებიდან ისეთს, რაც ქართული საზოგადოებრიობისათვის ცნობილი არ არის?

17. თქვენი აზრი რუსეთ-ჩეჩნეთის ომზე, დუდაევზე. გაიმარჯვა თუ არა ამ ომში ჩეჩნეთმა?

18. აქვს თუ არა ქართულ ჯარს შესაძლებლობა, თუკი პოლიტიკოსები გადაწყვეტენ, აღადგინონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა?

19. თქვენი მშობლიური კუთხე მთიულეთია. საზოგადოებამ ნაკლებად იცის თქვენი ბიოგრაფია, გთხოვთ გვიამბოთ თქვენი ყმაწვილკაცობისა და სამხედრო კარიერის შესახებ.

## რუსეთი ი.გიორგაძეს საქართველოშიც მფარველობს

საქართველოს პროკურატურის პრეს-ცენტრმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 1996 წლის 30 დეკემბერს, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო აპარატის გამომძიებელმა, ა/კავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბის №11, 12 და 13 ავტოსადგომებში აღმოაჩინეს საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსის, ამჟამად ძებნაში მყოფი ი.გიორგაძის მიერ გადამალული სამი უცხოური ავტომანქანა – „ლინკოლნი“, „მერსედესი“ და „დოჯი“.

„საქართველოს პროკურატურის, საბაჟოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანადგომით, ა/კავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების სარდლობასთან მიღწეულია შეთანხმება ხსენებული ა/მანქანების გადმოცემაზე. ავტომანქანები, როგორც ნივთიერი მტკიცებულებები, გაჩერებულია საქართველოს პროკურატურის ავტოსადგომში. მიმდინარეობს გამოძიება მათი ღირებულებისა და შეძენის წყაროს დასადგენად, ასევე ი.გიორგაძის ხელში მათი მოხვედრის მექანიზმის გასარკვევად. წინასწარი მონაცემებით, არსებობს იმის საფუძველი, რომ ა/მანქანები დატაცებულია ი.გიორგაძის მიერ, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მის პასუხისმგებლობას და ტერიორიზმთან ერთად უტყუარად ამხელს მას კორუფციულ საქმიანობაში“ – ნათქვამია განცხადებაში. (იფრინდა)

## რუსეთის სამშვიდობო ძალების საახალწლო ვოიაჟი

როგორც საагენტოს კორესპონდენტს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეს-ცენტრიდან აცნობეს, 2 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში, უსაფრთხოების 12 კმ-იან ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების ორი წარმომადგენელი არაფხიზელ მდგომარეობაში მივიდა ადგილობრივი მცხოვრების ზურაბიანის ოჯახში. გამასპინძლების შემდეგ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა გაუპატიურება დაუპირეს ოჯახის დედასა და ქალიშვილს. მოძალადეები გამოძახებულმა საგზაო პოლიციის წარმომადგენლებმა კონფლიქტის ადგილიდან წაიყვანეს და სოფ. რუხში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების საგუშაგოს ხელმძღვანელობას ჩააბარეს. 2 საათის შემდეგ, რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები საგუშაგოს მეთაურის ხელმძღვანელობით თავს დაესხნენ ზურაბიანის სახლს, სცემეს ოჯახის წევრები, დაცხრილეს სახლი და ოჯახის კუთვნილი ა/მანქანა, დაბრუნებისას კი ცეცხლი გაუხსნეს სოფ.რუხში მდებარე სახ. ა/ინსპექციის საგუშაგოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობის კომისიამ გააკეთა განცხადება, სადაც გმობს რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა ქმედებას, მიზანშეუწონლად თვლის მათ ყოფნას კონფლიქტის ზონაში და მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ გაყვანას. (იფრინდა)

## კოლეგიის სხდომა ჯანდაცვის სამინისტროში

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, გუშინ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გაიმართა კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს 1997 წლის ჯანდაცვის ბიუჯეტი. ჯანდაცვის მინისტრის ა.ჯორბენაძის განცხადებით, საჭიროა სამედიცინო სადაზღვევო სისტემაზე გადასვლა, რისთვისაც ჩატარებულია დიდი სამუშაოები. კერძოდ, 1997 წლისათვის ჯანდაცვის ბიუჯეტიდან 180000 დაზღვეულზე გამოყოფილია 590000 ლარი ანუ 1 პირზე – 32,78 ლარი. 0-დან 1 წლამდე ასაკის 60000 ბავშვზე საყოველთაო სამედიცინო დაზღვევისათვის გამოყოფილია 7000000 ლარი, ანუ 1 ბავშვზე – 116,67 ლარი. 1 ორსულისათვის გათვალისწინებულია 115 ლარი და 30 ლარი თანაგადასახადი. სადაზღვევო სისტემით დახმარებას მიიღებენ სამამულო ომის ვეტერანები, აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახები.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების შესრულებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. მათი დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რისთვისაც ჯანდაცვაზე ერთ სულზე უნდა გამოიყოს არა ნაკლებ 5 ლარისა. თანაბარი დაყოფით აღნიშნული სახსრები უნდა ჩაირიცხოს ჯანდაცვის რაიონულ (საქალაქო) ფონდებში. შესაძლებელია აღნიშნული სახსრების გაერთიანება მხარის მასშტაბით ჯანდაცვის რეგიონულ ფონდებში. (იფრინდა)

## გაიხსნა ჯვრის უღელტეხილი

როგორც სააგენტოს კორესპონდენტს პრეზიდენტის რწმუნებულის მრჩეველმა მცხეთა-მთიანეთის მხარეში აკაკი მარტოლეკმა აცნობა, ჯვრის უღელტეხილზე მოძრაობა აღდგენილია. გუშინ 15 საათისათვის უღელტეხილზე გადმოვიდა დაახლოებით 250 მანქანა, 300 გზაშია.

სააგენტოს კორესპონდენტისათვის შსს-ს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის პრეს-ცენტრიდან გახდა ცნობილი, რომ კვლავ მძიმე მდგომარეობაა მლეთა-ჯვრის მონაკვეთზე. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს დეპარტამენტის სამაშველო რაზმი. სავარაუდოა, რომ მოძრაობა დღეს განახლდება. (იფრინდა)

## შეიქმნა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური

ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოს ცნობით, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 დეკემბრის №484 ბრძანებულების თანახმად, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რომლის უფროსად დანიშნულია ვაჟა მაისურაძე. (იფრინდა)

# ნუგზარ ფოფხაძე: პატიაშვილს ნუ ეწყინება თუ ვიტყვი, რომ...

მეორე გვერდიდან



დაგვარად, შევეცადე დამესაბუთებინა ჩემი განსხვავებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პატიაშვილს საერთოდ არ ჰყოლია და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა პოლიტიკური თანამოაზრეების „გუნდი". ამისი ზოგიერთი მიზეზიც მივუთითე. ზოგს ახლა დავამატებ და ხაზგასმით იმასაც ვიტყვი, რომ მან, ნებსით თუ უნებლიედ, ყველაფერი გააკეთა, რომ ეს „გუნდი" არ შემდგარიყო.

კომპარტიის – მაშინდელი მმართველი პარტიის წესდებით განსაზღვრული მართვის სტრუქტურით, ცენტრალური კომიტეტის ბიურო იყო მუდმივმოქმედი კოლეგიური ორგანო, რომელიც ცკ-ს პლენუმებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობდა პარტიის საქმიანობას. სწორედ მას ევალებოდა ოპერატიული პოლიტიკური ხელმძღვანელობის ყველა ფუნქციის აღსრულება. სწორედ ცკ-ს ბიურო უნდა ყოფილიყო ის პოლიტიკური ბირთვი, რომელიც გახლავთ სინონიმი ცნებისა „პოლიტიკურ თანამოაზრეთა გუნდი".

ამ „გუნდის" შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, რომლის ძირითადი ფუნქცია წესდებით იყო გამოკვეთილი: კადრების შერჩევა-განაწილება, ცკ-ს და მისი ბიუროს გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი.

წესდებით ფუნქციები გამიჯნულია. წესდებით ასევე განსაზღვრული გახლდათ ორივე ორგანოს საქმიანობის სტილი, მუშაობის პრინციპი – კოლეგიური, კოლექტიური.

პატიაშვილის დროს მოხდა სწორედ ამ ფუნქციების აღრევა და სწორედ ამ პრინციპების უგულვებელყოფა. პრაქტიკულად მან მოახერხა ხელში ჩაეგდო ბიუროს მთელი უფლებამოსილება. რა გზით, ეს ცალკე თემაა. მისი განხილვა ერთობ შორს წაგვიყვანს. თუმც დაკვირვებული მკითხველი თვითონვე გასცემს პასუხს ამ შეკითხვას.

სამწუხაროდ, კოლექტივიზმისა და კოლეგიურობის, დემოკრატიული მართვის პრინციპები მას მოგვიანებით, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა დადგა მისი თითქმის ერთპიროვნული გადაწყვეტილებების სავალალო შედეგებისთვის პასუხისმგებლობის საკითხი. აი, მაშინ, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ დაიწყო მან კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხის წინ წამოწევა.

კოლეგიური განხილვის საგანი იშვიათად ყოფილა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხები. და თუ ყოფილა, იგი მხოლოდ ზედაპირულ, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. „კულუარული განხილვის", „კულუარული გადაწყვეტის" სტილი, ისიც ერთპიროვნულად ან მეტისმეტად ვიწრო შემადგენლობით, წესად იქცა.

ავიღოთ თუნდაც ისეთი „წვრილმანი", როგორიცაა 1988 წლის ნოემბრის ცნობილი „შიმშილობის აქციის" გამო შექმნილი ვითარება, რომელთან დაკავშირებითაც მოსკოვში გაიგზავნა „დეპეშები" თბილისში საგანგებო წესების შემოღების მოთხოვნით. ამ მოვლენის შეფასება მოხდა „ტრადიციისამებრ" – კულუარულად, ხოლო გადაწყვეტილების მიღება მოსკოვისთვის „სამხედრო დახმარების" თხოვნის შესახებ – სრულიად საიდუმლოდ რესპუბლიკის კოლეგიური პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან. პირადად მე, ვისაც დაკისრებული მქონდა „იმ დღეებზე" პასუხისმგებლობა, ეს 6–7 თვის შემდეგ შევიტყვე, ისიც სახალხო დეპუტატთა ყრილობის ტრანსლაციის დროს. ასეთი მაგალითები ერთი და ორი არ არის.

ბიუროსა და სამდივნოს წინასწარი კოლეგიური განხილვის საგანი არც ერთხელ არ ყოფილა განსაკუთრებული მნიშვნელობის საკადრო დანიშვნა-გადაადგილების საკითხები (მაგალითად, სუკის თავმჯდომარის დანიშვნის, პარტიის თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობის შეცვლისა და სხვა). ბიუროს წევრებს, ცკ-ს მდივნებს ასეთ შემთხვევაში ფაქტის წინაშე აყენებდნენ.

– ადრე რა, ასე არ იყო?

– შევარდნაძის პირველმდივნობის პერიოდში ბიუროს წევრი არ ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც წესი, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობისას, 1979 წლიდან ბიუროსა და ცკ-ს სამდივნოს სხდომებს სისტემატურად ვესწრებოდი. ჩემთვის ძნელია რაიმე ღირებული ვთქვა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ბიუროს და სამდივნოს „სამზარეულოში". მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო ის, რაც „გარეშე" თვალისთვისაც კი შესამჩნევი გახლდათ: პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფუნქციას ეს სტრუქტურა, რა თქმა უნდა, ასრულებდა. ბიუროს ცალკეულ წევრებს დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ რესპუბლიკაში და მის გარეთ. თუნდაც, პატარიძის, სირაძის, მენთეშაშვილის, ანდრონიკაშვილის, ჩერქეზიას და სხვების, როგორც სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების წონა ერთობ მნიშვნელოვანი გახლდათ. თვითონ პატიაშვილის ფიგურა ასევე თვალში საცემი იყო.

უამრავი მაგალითიდან, საილუსტრაციოდ, მოვიყვან ერთს, თუ როგორ დამთავრდა რესპუბლიკისთვის უაღრესად პრინციპული – ატომური ელექტროსადგურის შესაძლო მშენებლობის საკითხის უმწვავესი განხილვა ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბიუროს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა, ძირითადად, დადებითად მოეკიდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფის წინადადებას ასეთი ელექტროსადგურის აუცილებლობის შესახებ, საკითხი მოიხსნა და საზოგადოების სამსჯავროზე არ გავიდა მარტო იმიტომ, რომ ბიუროს ორი წევრი – თ.მენთეშაშვილი და თ.მოსაშვილი პოლიტიკური არგუმენტაციით კატეგორიულად გამოვიდნენ ამ წინადადების საწინააღმდეგოდ. და ამ „დატაკების" შემდეგ არავინ არავის არ „გაებუტა" და მტრად არ „გადაეკიდა".

პატიაშვილის პირველმდივნობის საწყის ეტაპზე ასეთი სულისკვეთება ინერციით გრძელდებოდა, მაგრამ ურთიერთობებში თანდათანობით ბევრი რამ უარესობისკენ შეიცვალა. ეს გარედანაც იგრძნობოდა. მაგრამ ამაში პირადად დავრწმუნდი მას შემდეგ, რაც 1988 წლის მაისიდან ბიუროს შემადგენლობაში შემიყვანეს. ის, რაც ამ პერიოდში ფასადს მიღმა ხდებოდა, კარგად არის ჩემთვის ცნობილი.

ბიუროს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის დარგობრივი ცკ-ს მდივნებიც და მათდამი დაქვემდებარებული განყოფილებები, ძირითადად სამეურნეო საკითხებზე მუშაობდნენ. არა იმიტომ, რომ პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებდათ ან კომპეტენტურობა აკლდათ. ცოდვა გამხელილი ჯობს, ერიდებოდნენ კიდეც ამ სფეროში ჩართვას, ვინაიდან მოქმედებდა „სხვის საქმეში ცხვირის ჩაუყოფლობის" დაუწერელი მოთხოვნა-კანონი. შენი სფეროს ფარგლებს გარდა, სულ მცირეოდენი დაინტერესება და აქტიურობა უმალ იწვევდა ხელმძღვანელობის დაუფარავ ეჭვს და რეაქციას, რატომ და რისთვის ინტერესდებაო „სხვისი" საკითხით მავანი?..

არადა, „გარდაქმნა" არამცთუ გულისხმობდა, ითხოვდა კიდეც სახელმწიფო სტრუქტურებისათვის უფრო მეტი დამოუკიდებლობის მიცემას, სამეურნეო ფუნქციებისგან პარტიული ორგანოების განთავისუფლებას, მართვის მექანიზმის დემოკრატიზმს და ა.შ. ჩვენში, სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქით ხდებოდა, ისევ სიტყვით, ფორმალურად, და არა რეალური საქმით.

ჩვენს თვალწინ ბიურომ თანდათანობით დაკარგა პოლიტიკური ცენტრის ფუნქცია. ბიუროს სხდომებზე გამოტანილი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხების განხილვა უფრო ფორმალური ხასიათისა იყო, ვიდრე ღრმა განსჯისა. ნელ-ნელა გაქრა გულახდილობის, გულწრფელობის, აზრთა ჭიდილის, კეთილგანწყობის ატმოსფერო. ყველაფერი დაექვემდებარა უმკაცრესი სუბორდინაციის და პარტიული დისციპლინის ფორმალური პრინციპების დაცვას. არ იყო გამორიცხული შიშიც...

– შიში?..

– დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ – შიშიც. და სწორედ აქ არის „ძაღლის თავი დამარხული"!

ხელმძღვანელობის აშკარა ადმინისტრაციული სტილი, ზოგიერთი პირადი თვისება – [illegible], ორპირობა, ბოღმიანობა (რაც ხალხისთვისაც [illegible] იყო, რის შედეგადაც ფოლკლორად გავრცელდა ზედმეტსახელი – „არაპატიაშვილი" და სხვ.), კადრების პირადი ერთგულების ფილტრში უცერემონიო გაცხრილვის, პირადი ანგარიშსწორების და ზოგიერთების აშკარა დევნის მაგალითები, კოლეგებისა და არასასურველ მუშაკთა დისკრედიტაციის „დახვეწილი" ფორმები და მეთოდები, ეჭვიანობის დაუფარავი სინდრომი და ენატანიობის წახალისება ზოგ-ზოგებს ლაჩრული განწყობილებებისა და ქცევის საფუძველს აძლევდა. ამას დაუმატეთ მათი საკუთარი „ცოდვებიც", არეული დრო და ცკ-ს ზოგიერთი განყოფილებისა თუ ამა თუ იმ ძალოვანი სტრუქტურისთვის კადრებისადმი თვალთვალის „განსაკუთრებული" ფუნქციის დაკისრება, რომელიც განპირობებული იყო პირველი მდივნის წინაშე სპეციფიკური „დამსახურებით". ამის გამო იყო, რომ ბევრს უწევდა იმის მტკიცება, აქლემი არა ვარო.

ამ ფონზე რაიმე სერიოზული საუბარი თითქოსდა პოლიტიკურ ნიადაგზე შეკრული „გუნდის" არსებობაზე, თანამოაზრეთა ერთიან ორგანიზმზე, ჩემი აზრით, მეტისმეტად თამამი იქნებოდა.

თუმცა, შეიძლება ვცდებოდე კიდეც. ან რომელიმე მაშინდელ კოლეგას ეს შეფასებები გამუქებულად მოეჩვენოს. შესაძლოა. მაგრამ, არ მაქვს მიზნად ვინმეს რაიმე ვუმტკიცო, ან საკუთარი აზრი თავს მოვახვიო. მე ჩემსას ვამბობ, ვამბობ იმას, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რისი უამრავი ფაქტი და მოწმეც არსებობს.

ამის თქმა, მით უმეტეს დღეს, პირადად მე ყველაზე ნაკლებად მჭირდება. ეს წარსულის ანალიზისთვის არის საჭირო. უამისოდ სწორ დასკვნებს ვერ გამოვიტანთ... ეს დასკვნები კი საჭიროა მომავლისათვის. ჩვენ კონკრეტულად მივალთ 9 აპრილის თემასთან და მაშინ შევეცდები დავამტკიცო, რომ ეს ტრაგედია „კოლექტიური სიბრძნის" ნაყოფი არ ყოფილა. „9 აპრილის" უმძიმესი შედეგები, უწინარეს, ყოვლისა, განაპირობა სწორედ იმან, რაც ახლა მოგახსენეთ – აზროვნების პრიმიტივიზმმა და საქმიანობის ავტორიტარულმა სტილმა, რომელსაც ასაზრდოებდა პირადი ხასიათიც და თვისებებიც.

აქედან გამომდინარე, პატიაშვილს ნუ ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ არა აქვს მორალური უფლება ილაპარაკოს „გუნდურ პასუხისმგებლობაზე".

გაგრძელება იქნება

# ალიბაბა ჩადუნელი: თუ ორასივეს დახოცავთ, არ იქნებით მართალი...

**რედაქციაში გვესტუმრა ტყვეთა გაცვლის კომისიის წარმომადგენელი ბ-ნი ალიბაბა ჩადუნელი. ჩვენ გავესაუბრეთ მას.**

– ჩვენმა გაზეთმა ამ ერთი წლის წინ გამოაქვეყნა თქვენთან ინტერვიუ. ახლა რას გვეტყვით ახალს...

– თქვენ იცით, რომ არსებობს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მძევალთა მოძიების სახელმწიფო კომისია, რომლის ხელმძღვანელია ბატონი ავთანდილ იოსელიანი და საპარლამენტო კომისია, ხელმძღვანელი ბატონი ჯორჯანელი. ეს კომისიები მუშაობენ დღესდღეობით დაკარგულებზე, მაგრამ არის გარკვეული პრობლემები. გვიწევს შეხება მათ ახლობლებთან, მოდიან ცოლები, დედები, ძალიან უჭირთ მატერიალურად, სამსახური უნდა უშოვო, მატერიალურად უზრუნველყო. ადვილი არ არის ამ გამწარებული ხალხის მოსმენა. ხანდახან ისეთ რაღაცას ვეჯახებით, რომ ძალიან ძნელია, გულგრილი დარჩე. აი, ამას წინათ მოვიდა შვილდაკარგული დედა და გვეუბნება, დამეხმარეთ, შვილიშვილი მაჩვენეთო. ე.ი. ერთ-ერთი მეომრის მეუღლე გათხოვდა (ჩვენ არ გვინდა გვარების დასახელება) და შვილიშვილი ფაქტიურად დააკარგვინეს ბებიას. იცით, რა ხდებოდა გუშინ კომიტეტში? ყველანი ტიროდნენ. აი, ასეთი რაღაცები ხდება.

**– წელიწადზე მეტია, ჩვენს რედაქციაში არ გამოჩენილხართ, რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში, რა გააკეთეთ, ან რა ვერ გააკეთეთ...**

– სახელმწიფო კომისია კვლავინდებურად აწარმოებს მოლაპარაკებებს, ამას წინათ სამი აფხაზი გადავასვენეთ აფხაზეთში. შემდეგ უნდა დაწყებულიყო ბაბუშერას სამარხიდან გადმოსვენება. საქმე კი აი, რაში იყო: ტამიშიდან ერთმა ოთხკაციანმა ჯგუფმა მძევლები აიყვანა. ეს მძევლები უნდა გადაგვეცა ჩვენ, ქართველთა მხარეს, თორემ ბაბუშერას გადმოსვენებას ვერ ვიწყებდით. ჩაერია ავთო იოსელიანიც, მე და ვლადიმერ დობორჯგინიძეც იქ ვიყავით, მშობლებიც იყვნენ. გადავეცით ეს ხალხი და ამას შემდეგ ჩვენ უკვე უნდა დაგვეწყო ბაბუშერას გადმოსვენება. ამ დროს პიკეტი გააკეთეს ფაჩულიების (გასამართლებული არიან ჩვენთან) მშობლებმა და მთელმა ოჩამჩირე-ტყვარჩელის აფხაზებმა გადაგვიკეტეს გზა, „კამაზით" ვიყავით წასული. უნდა დაგვეწყო ბაბუშერას სამარხის გათხრა. პიკეტს 75 წლის ფაჩულია ხელმძღვანელობდა. მე, კარგად ვიცნობდი იქ მყოფ აფხაზებს და ვუთხარი, ასე როგორ შეიძლება, პურმარილით უნდა შევხვედროდით-მეთქი. მე მითხრა, შენზე საუბარი არ არის, თუ გინდა დარჩი, თუ გინდა, არაო. მიმდინარეობდა საუბარი, მაგრამ ვლადიმერ დობორჯგინიძემ მათ მოუგო, ასე ვთქვათ, ერთი სიტყვით, მან უთხრა, რომ თქვენ ეძებთ შვილს – დაპატიმრებულს, მაგრამ ცოცხალს, ხოლო ჩვენ ვეძებთ შვილს – დაპატიმრებულს მაგრამ დაღუპულს. მოკლედ, ამ პიკეტით აფხაზთა მხარემ თავისი პირობა არ შეასრულა. ახლა კი, ამ უახლოეს დღეებში შევხვდებით მათ და დავიწყებთ ბაბუშერადან გადმოსვენებას. საერთოდ კი, ძალიან ბევრი სამარხია მოძიებული. ჩვენ მარტო სამარხებს კი არ ვიძიებთ, ცალკე საფლავებიც არის. აფხაზებთან შეიძლება ლაპარაკი, არის მათ შორის ზოგიერთი კაცური კაციც. აი, ხვალ-ზეგ მივდივარ სოხუმში და ბაბუშერას გადმოსვენებას შევუდგებით. თბილისში, წმინდა ნინოს მემორიალთან არის სასაფლაო გამოყოფილი და იქ უნდა დავკრძალოთ დაღუპული მეომრები.

**– აფხაზების მხრიდან კიდევ რა პრობლემებია?**

– საქმე იმაშია, რომ ისინიც ეძებენ თავიანთ დაკარგულებს. მათი მხრიდან 250 აფხაზია, ჩვენთან კი 1500-ზე მეტი, მაგრამ, როცა ამბობენ, რომ 3 და 5 ათასია ასეთი. ეს სრული აბსურდია.

**– ჩვენი ხელისუფლების მხრიდან არ არის პრობლემები, თუნდაც გადმოსვენებასთან დაკავშირებით? გამოთქმული იყო აზრი, რომ მთავრობას არა აქვს სახსრები ამისთვის...**

– თქვენ წარმოიდგინეთ, არა. ჩვენ ამ მხრივ ყველაფერი გვაქვს. დღესაც რომ თქვას აფხაზმა, რომ მზად არის, ჩვენც ჩვენის მხრივ მზად გვაქვს ყველაფერი, რომ გადმოსვენებას შევუდგეთ. მართალია, საკმაოდ დიდი ციფრია ის, რაც მიკვლეულია ჩვენს მიერ. მაგრამ როგორც წედან მოგიყევით, ჩვენ აფხაზების ძებნაზეც ვმუშაობთ. პასუხი უნდა გავცეთ აფხაზ მშობლებსაც და ქართველ მშობლებსაც. მაგრამ ჩვენ ხომ იმითაც ვართ დაინტერესებული, რომ ცოცხლებიც მოვძებნოთ. ვვარაუდობთ, რომ ასეთნი არიან და აუცილებლად ვიპოვნით.

**– იქნებ კიდევ დაამატებდით რამეს...**

– სათქმელის მეტი რა არის, თუმცა, ჩვენი სურვილია, დაღუპულებს პატივი ვცეთ პირველ რიგში. იყო ასეთი პრობლემები, მაგალითად, როდესაც მხედრიონის წევრებს თუ სხვებს ეძებდნენ, მათ პასუხობდნენ, რომ შენი შვილი ყაჩაღი იყო. ეს ძალიან ძნელი მომენტია, როცა ადამიანს მტკივნეულ ადგილს უხბენ. არა აქვს მნიშვნელობა, მხედრიონელი იყო თუ რიგითი მოქალაქე, მე ასე მწამს, იქ ყველა ვაჟკაცურად იბრძოდა და თავისი ვალი მოიხადა სამშობლოს წინაშე. ერთი ჭიანჭველა რომ გიკბენთ, დაიხედავთ ფეხზე და ორასი ჭიანჭველა გახვევიათ, თუ იმ ორასივეს დახოცავთ, არ იქნებით, მართალი, რადგან ას ოთხმოცდაცხრამეტს არაფერი დაუშავებია. ასე რომ, ყველას ერთი საზომით ნუ გავზომავთ.

**ესაუბრა ლელა კოდალაშვილი**

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# გალაკტიონ ტაბიძე «მე და ღამე»

**ნოდარ გრიგალაშვილი**

გაგრძელება დასაწ. იხ. „საქართველო“ №68,69,70,71

თუ შემოქმედს საკუთარი ნაწარმოების შესახებ თუნდაც მცირე ჩანაწერი აქვს დატოვებული, ბუნებრივია, ამ ჩანაწერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურისმცოდნისა თუ რიგითი მკითხველისათვის. ცნობილია, რომ გალაკტიონს თავისი რამდენიმე ლექსის შესახებ მცირე რეცენზია დაუწერია.

ეს რეცენზია, ცხადია, მნიშვნელოვანია და მკითხველს რიგი საკითხების ანალიზისას დიდად ეხმარება. მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება.

რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, გალაკტიონი, რიგ შემთხვევებში, საკუთარ ლექსებზე მსჯელობისას ან ამ ლექსების დათარიღებისას, შეგნებულად ჩქმალავს სიმართლეს. ამ ფაქტს კი თავისი მიზეზი ჰქონდა, აი, რა: როგორც ცნობილია, მკვლევარნი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ორ პერიოდს გამოყოფდნენ. დამკვიდრებული იყო აზრი, რომ თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე გალაკტიონ ტაბიძე სიმბოლისტი იყო. 1921 წლიდან, ანუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შემოჭრის შემდეგ კი, პოეტის შემოქმედებაში თითქოს იწყება მეორე ეტაპი – რეალიზმისა და მერმე სოციალისტური რეალიზმის ხანა.

სიმბოლიზმის ხსენებაზე საბჭოთა ხელისუფალნი ცოფებს ყრიდნენ, რადგან სიმბოლიზმი მათთვის ლიტერატურის იდეური გახრწნა, ბურჟუაზიულ-დეკადენტური მიმდინარეობა იყო. სოციალისტი მწერლისათვის კი სიტყვა ბურჟუაზიულის, ან დეკადენტურის, გნებავთ სიტყვა პესიმისტურის მისადაგება ახალ დროში სახეირო საქმე არ გახლდათ. ამიტომ, ჩვენი „ცისფერყანწელები“ 30-იან წლებიდან გასაგები მიზეზების გამო უკვე თავგამოდებულნი ამტკიცებდნენ, რომ სიმბოლიზმის სენი მათ კარგა ხანია მოიხადეს და რომ ისინი სოციალისტური რეალიზმის ერთგული მიმდევარნი იყვნენ...

აი, ეს გარემოებაც არის გასათვალისწინებელი, როცა სიმბოლიზმის შესახებ გალაკტიონის გვიანდელ ჩანაწერებს ვკითხულობთ.

„მე და ღამეც“ ერთ-ერთ სიმბოლისტურ ლექსად იქნა მიჩნეული. პოეტი გასაგები მიზეზის გამო, საჭიროდ თვლიდა, ეს „ბრალდება“ უარეყო. ამიტომაც თითქოს ოპონენტს ეკამათებაო, გალიზიანებული წერს: „ისმის თუ არა ამ ლექსში სულიერი სიმტკიცე ახალგაზრდობის, ისმის თუ არა შიგ საიდუმლოების დაცვის ფიცი?“

შეიძლება ითქვას, რომ პოეტი შეგნებულად აუბრალოებს საკუთარი ლექსის სათქმელს. ოღონდ სიმბოლისტობას ნუ დასწამებენ და მზად არის „აღიაროს“, ამ ლექსში ახალგაზრდობის სულიერი სიმტკიცე და საიდუმლოების დაცვის ფიცია გამოხატულიო.

გალაკტიონი მისტიფიკაციების ოსტატი იყო. ამ დაწყევლილი ორი პერიოდის შეკოწიწებით შეწუხებულს, ხშირად დასჭირვებია, მეტი „სინათლე“ შეეტანა სიმბოლისტურად მიჩნეული ამა თუ იმ ლექსის შექმნის ისტორიაში, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ საკუთარი ნაწარმოების შექმნის იმპულსად რევოლუციასთან და რევოლუციონერობასთან დაკავშირებულ ფაქტს დაასახელებდა ხოლმე. აქაოდა, ამ ფაქტს სიმბოლიზმთან რა კავშირი შეიძლება ჰქონდესო. ასე მოიქცა „მე და ღამეს“ შექმნის ისტორიის გამოცემის დროსაც. ზოგიერთი ლიტერატორისათვის კი პოეტის შეგნებული მისტიფიკაციები გაუგებარი დარჩა და მისი ნაამბობი ჭეშმარიტად მიიჩნია.

ასე მაგალითად, 1956 წლის აპრილში გალაკტიონ ტაბიძისათვის ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს შეხვედრა მოუწყვიათ. შეხვედრაზე მოხსენება წაუკითხავს კრიტიკოს დიმიტრი ბენაშვილს, რომელსაც „მე და ღამე“, ტრადიციისამებრ, სიმბოლისტურ ნაწარმოებად მიუჩნევია. ამ საღამოს დამსწრე ერთი ლიტერატორი იგონებს: „გალაკტიონმა მიგვიხმო და სთქვა – აი, დიმიტრიც შეცდა დღეს, ჩვენი კრიტიკოსები ცდებიან, გალაკტიონი სიმბოლისტი იყოო. ამტკიცებენ, არა, ძამიკო, დიმიტრი, არა, ამხანაგებო, ეს არ არის სწორი. ეს გაუგებრობაზეა აგებული. მე ასეთი გულუხვობა და ასეთი წრფელი სიყვარული არსად არ მიგრძვნია და, თქვენ გაგანდობთ ჩემო ძვირფასო ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ჩემი დიდი ხნის საიდუმლოს, „მე და ღამეს“ შექმნის საიდუმლოს“.

მტერი ვერ მიხვდეს იმას, რა ირონიაც ამ და ქვემოთწარმოდგენილ სიტყვებშია. მოგონების ავტორი კი სრული სერიოზულობით განაგრძობს თხრობას: „გრძნობდა, რომ ახლა უკვე ის თავისი შემოქმედების ნამდვილ ექსტაზში შედიოდა, იმ ექსტაზში, რომელშიც წარმოიშობა ხოლმე სულის ყველაზე უსათუთესი ღაღადისი, ყველაზე დაფარული გასანდობარი, უცებ უბის წიგნაკი მოვიმარჯვე და სიტყვასიტყვით ჩავიწერე შემდეგი:

„ეს იყო ახალგაზრდობის დროს, 1912 წელს, – დაიწყო ნელი, მკაფიო ხმით გალაკტიონმა, – ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ერთი ჩემი ახლო მეგობარი რევოლუციონერი იჯდა. მე და ჩემს ამხანაგს დავალებული გვქონდა მიგველო მისგან საიდუმლო ნიშანი. წინასწარ გაფრთხილებული ვიყავი, რომ ის ციხის ზედა საკნიდან ქუჩისკენ, სადაც ჩვენ უნდა ვმდგარიყავით, პურის ცომისგან მოზელილ გუნდას გადმოაგდებდა, რომელშიაც პატარა წერილი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. და, აი, ერთხელ, საღამოჟამს, დავიწყეთ სეირნობა ციხის გალავნის ირგვლივ, დათქმულ ქუჩაზე. დიდხანს მოგვიხდა სეირნობა და ლოდინი. ეტყობოდა, ხელსაყრელ დროს ეძებდა... ბოლოს ჩემს ახლოს დაეცა პურის გუნდა... უმალ ავიღე და გადავტეხე იგი. შიგ მართლაც ბარათი იყო: „იარაღი გამომიგზავნეთო“. ეს მე საიდუმლოდ შევინახე. აი, რამ მომცა ბიძგი, დამეწერა ჩემი „მე და ღამე“ – თქვა ეს და ისევ დიმიტრის მიმართა.

– რა აქვს დიმიტრი, ამ ამბის შემდეგ საერთო ჩემს „მე და ღამეს“ სიმბოლიზმთან? არაფერი, არაფერი“.

პოეტის სიტყვებში:

„დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც
ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის,
ნიავსაც კი არ ვაკარებ“.

თურმე მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა, კერძოდ კი, დაპატიმრებულ რევოლუციონერებთან საქმიანი კავშირი იგულისხმება. ეს რევოლუციონერი კი, რომელსაც ციხეში იარაღის შეგზავნა მოუთხოვია, კრიტიკოსის აზრით, ოლია ოკუჯავა, პოეტის სატრფო იყო...

რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხოთ „მე და ღამე“ და რა ბოლშევიკური სულისკვეთებაც არ უნდა ჰქონდეს კაცს, ლექსის ამდაგვარად „გაიდეურებას“ ვერაფრით მოახერხებს. ერთი სიტყვით, კრიტიკოსის „მეთოდოლოგიით“ გალაკტიონის მორიგი ირონია უტყუარ ფაქტად იქცა...

რა წერია სინამდვილეში ლექსში?

პოეტი ახდენს ბუნების პერსონიფიკაციას. ღამის სიმშვიდე, ღამის საიდუმლოება მის დაღლილ და აფორიაქებულ სულს მხსნელივით მოვლენია.

ადამიანი ღამით თითქოს უფრო ფაქიზი ხდება, უფრო რომანტიული, ღამეს უმჟღავნებს ფიქრს და იდუმალ ზრახვებს. არის წუთები, როდესაც პიროვნება მარტოობით ტკბება და ამდენად, ღამე საყვარელი ხდება მისთვის, როგორც მარტოობის თავშესაფარი. გალაკტიონი ამ განწყობით წერს „მე და ღამეს“.

არის წუთები, როცა მარტოობა აუტანელია და ამდენად, აუტანელია ღამის იდუმალება და სიშავე. გალაკტიონის პოეზიაში ღამის ამგვარ პერსონიფიცირებასაც შეხვდებით – „წყეულო ღამევ გზა დამიცალე“ ან „აღარ გათენდება ღამე საზიზღარი“.

„მე და ღამეში“ კი ღამე, როგორც ითქვა, პოეტის სულს ესალბუნება და მეგობარივით მისდგომია მის სარკმელს. ღამის იდუმალების აღწერას მოსდევს პოეტური მედიტაცია:

„დიდი ხნიდან საიდუმლოს
მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის,
ნიავსაც კი არ ვაკარებ,
რა იციან მეგობრებმა, თუ რა
ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში
საუკუნოდ შენახული.
ვერ მომპარავს ბნელ გულის
ფიქრს წუთი წუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს
ქალის ხვევნა და ალერსი.
ვერც ძილის დროს ნელი
ოხვრა,
და ვერც თასი ღვინით
სავსე,
ვერ წამართმევს მას, რაც
გულის
ბნელ სიღრმეში
მოვათავსე,
მხოლოდ ღამემ, უძილობის
დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა
იცის თეთრმა ღამემ“.

და მაინც, რა არის ის საიდუმლო, რაც პოეტს კაცთათვის ვერ გაუნდვია და მხოლოდ ღამეს მიანდო?

„იცის როგორ დავრჩი ობლად,
როგორც ვევნე და
ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე
და ღამე, მე და ღამე“.

ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია ამ კითხვაზე. შეიძლება ითქვას, მიზანშეწონილიც არ არის, რადგან პოეტი გარკვევით ამბობს, რომ იგი ობლად შთენილი, მარტოსულია და ეს მხოლოდ ღამემ იცის, რადგან თავის ნამდვილ ფიქრთა და ზრახვათ მხოლოდ ღამეს უმჟღავნებს. პოეტის სულიერი განწყობა მსგავსია იმისა, რაც ბარათაშვილის „სული ობოლში“ ჩანს:

„ნუვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუვინ ჩივის თავისს
უთვისტომობას
საბრალოა მხოლოდ სული
ობოლი“

ობოლი სული კი საბრალოა, რადგან –

„აღარა აქვს მას ნდობა ამა
სოფლის;
ეშინიან, იკრძალვის, არღა
იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან
გრძნობა,
ეფიქრება ხელმეორედ მას
ნდობა“.

ასევე სკეპტიკურად არის განწყობილი გალაკტიონიც. იგი ობოლი სულის ფიქრს ვერავის ანდობს: „არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის“. არათუ ამ ორ ლექსს შორის შეიძლება დავინახოთ გამოძახილი სულიერი განწყობისა, არამედ ორი პოეტის პირად ბარათებს შორისაც.

ბარათაშვილი მეგობარს, მაიკო ორბელიანს წერს: „დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო, სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავინ მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“

ახლა გალაკტიონს მოვუსმინოთ, პოეტი იოსებ გრიშაშვილს წერდა:

„იცი, საყვარელო სოსო, ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი სენი მეპარება. საშინელი სენი მარტოობისა, ესეც ხომ თავისებური ავადმყოფობაა! და ვით სიკვდილით დასჯილი სახრჩობელას წინ, თვალით ვეძებ მონათესავე სულს, საშინელებაა – აშკარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტოობას...

მე დღეს შესაძლებელია ორასი ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო, შეიძლება გული გადავუხსნა კიდეც წუთის გავლენის ქვეშ.. და მაინც მარტო ვარ.

ამიხსენი მეგობარო, ეს მდგომარეობა!..

მე ვერაფერი გამიგია, ამ ჩემთვის უცნობი გრძნობის.

ჩემი სიყვარული შორეულის ტრფიალი არ არის და ვერც ახლოს სწვდება მას.

და მგონია არც კი მიყვარს ვინმე.
მარტო ვარ, მარტო.
რა გაეწყობა
მარტო ვარ, მარტო...“

ეს ბარათი დაწერილია 1912 წელს, რამდენიმე თვით ადრე „მე და ღამეს“ შექმნამდე. ლექსში სწორედ ეს განწყობილება აისახა. თუმცა ლექსის მიხედვით პოეტი მარტოობასთან უკვე შეგუებული და შეიძლება ითქვას, მარტოობაზე შეყვარებულიც ჩანს. ამა თუ იმ სენის „მორჩენის“ თავისებური საშუალება ხომ ამ სენთან შეგუება, მისი გაშინაურებაც არის. ამით ადამიანი იქმნის კმაყოფილების ილუზიას, მაგრამ ერთ დღეს ეს ილუზია ინგრევა და პოეტი კვლავ მკაცრი რეალობის წინაშე აღმოჩნდება. როგორც ხე ჭკნება უფესვებოდ, ისე ილვენთება ადამიანის სულიც უთვისტომობაში. ამ განცდას არ შეიძლებოდა პოეტის არსებობაშიც არ ამოეხეთქა და აკი ათქმევინა კიდეც „აღარ გათენდება ღამე საზიზღარი?..“

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწერლობა

*ახალი ლექსები*

ტაგუ მებურიშვილი

## საქართველოს ხნისა ვარ!

მავანს ისიც აკვირვებს,
ერთგულ კაცად რო გიცი..
მე თვისსავ ბავშვობიდან
არ მოვდივარ ზოგივით.

ვარ მხცოვანი და თითოც
ლილოჭრილოს მოლივით,
სამშობლოს ისტორიის
ულრანებ გამოვლილი.

მოვდივარ შორზე შორი
საქართველოს ყრმობიდან,
მისი ათას ჯვარცმიდან
და ყოფნა-არყოფნიდან.

სულისა და სხეულის
ვეღარ ვითვლი იარებს,
მისი ყველა ძლევის თუ
მარცხის ვარ მოზიარე.

თვისსავ ნინველობიდან
მომავალი როდი ვარ,
ერის სისხლის ცრემლების
ტბა-ტბა, ზღვა-ზღვა მოვდივარ.

ვერ გამტეხდა ათობით

სავალალო პირადი,
ბოლოს მილებს მამულის
ბედისწერა-პილატე.

მომაპყარით სმენა თქვენს
გინა მიწას, გინა ყმას,
ოდენ გარეთ ნუ ეძებთ
მტერს,
ის მამულს შინაც ჰყავს.

საქართველო-ამდენი
დიდი შვილის მშობელი -
არის ულირს შვილთაგან
ცრემლებ შეუშრობელი.

გეტყვი, ჩემს
სადღეგრძელოს
სანამ შესვამ მა თასით,
რის სამოცის?! რას ამბობ?!
წლის ვარ სამიათასის.

საქართველოს ხნისა ვარ,
მისი ლხინის და ჭირის...
ვკვდები, გულში
მტრისადმი
შურისგება გაჩრილი.

---

*ძველი ლექსები ახალი სათქმელით*

## გალაკტიონ ტაბიძე

* * *

გიორგი! ეხლა
მზრუნველს და მომვლელს
საქართველოში
ვინმე გამოლევს?
მზად იყავ მისცე
ანგარიში ხალხს
და არა ყოველ
გამვლელ-გამომვლელს!

### გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! -
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.
მომენატრა მზე, სინათლის მფენი;
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.
მომაგებე შენ იგივე პალმა,
სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა
გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი;
მომაგებე მშობლიური გემი,
მომაგებე მშობლიური მიწა,
შენი ძველი მეგობარი მიცან.

●

ისეთი დღეა, გული მხოლოდ
გრძნობით დათვრება,
ისეთი დღეა - გამარჯვებას
რომ ეკადრება!
მაგრამ უეცრად ყოველივე
მოიჩადრება,
რაღაც შემაკრთობს... და კვლავ ომი
მომენატრება.
ცას სილაჟვარდე დაჰფენოდა
ბრწყინვალე ზეწრად,
მათთან ჩემს გრძნობებს სიხარულის
გზა მიმოეცრათ.
რა სივრცე არის, რა სილაღე...
მაგრამ უეცრად -
გამახსენდები... და კვლავ ომი
მომენატრება.
ამგვარი არის ჩემი ყოფნა
დღითა და ღამით,
ის უკურნებლად დაიდაღა
ომების შხამით.
საუკუნით რომ ლაღი ვიყო.
მტერი ერთ წამით
გამახსენდება... და კვლავ ომი
მომენატრება.
ყოველ ქართველში ომის ტრფობა
ძველისძველია,
მეც ასეთი ვარ და ვერვისთვის
გამიმხელია.
სიცოცხლე მინდა, უშენოდ ის,
ოჰ, რა ძნელია.
გამახსენდები... და კვლავ ომი
მომენატრება.

* * *

ცა წვიმით თავზე გვემხობა,
უგზობა, უფარეხობა...
იკმარე, მეხო, მეხობა,
ჩვენ ჩვენი დარდიც გვეყოფა.

---

*ერთ დროს დატყვევებული ნაწარმოებები*

მიხეილ ჯავახიშვილი

# დამდნარი ჯაჭვი

I

წითელი დირექტორი აპოლონ რაპოლიძე თავის კაბინეტში დადის და მემანქანე ქალის ზურგს ისე უკარნახებს, თითქო თავის თავს ელაპარაკებაო:

– ხოლო ცუდ მოსავალს მოსდევს... არა, მოსდევს კი არა, უნდა მოჰყვეს გლეხის გაღარიბება... მძიმე დაუსვით. გაღარიბება, საკლავი საქონლის გაიაფება, დარღვევა და...

საწერმა მანქანამ ჩხაკუნი და ხრიალი შესწყვიტა, ხოლო მარინემ დუმილის შემდეგ ჩურჩულით ჰკითხა მანქანაზე გაკრულ ქაღალდს, რომელზედაც იის ფერი ასოები დაგეშილ მოვარჯიშეებივით ჩამწკრივებულიყვნენ:

– დარღვევა და...?

წითელი დირექტორი ქალის ზურგთან შესდგა. მერმე თავისი განიერი მკერდით მარინეს შიშველ ბეჭებს გადაეფარა და სთქვა:

– აბა, მაჩვენეთ, რა დავწერეთ.

– საქონლის გაიაფება, დარღვევა და... – იმეორებს დაბეჭდილის უკანასკნელ სიტყვებს მარინე.

აპოლონ რაპოლიძის წვერი, – შავი, გრძელი, ხშირი და ლბილი წვერი მარინეს ტიტველ კანს აჩეჩილი ხავერდის ბეწვივით ულიტინებს, ხოლო მისი თბილი სუნთქვა კისერსა და ლოყას თბილი ნიავივით ელამუნება. ეს სუნთქვა, მამაკაცის იდუმალი სუნით გაჟღენთილი, თვრამეტი წლის ქალს ბანგივით ათრობს, ტანში საამური რეტივით უვლის და დაუდუდარ სისხლს განუცდელი ჟრჟოლით უბიძგებს.

– საქონლის გაიაფება და დარღვევა? რის დარღვევა? – ეკითხება დირექტორი.

მანქანის გაკრიალებულ ფიცარში, როგორც სარკეში, მარინეს მსხვილმა კბილებმა გაიელვეს. მისი ღიმილი უმალვე ჩაჰქრა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სასულეში ნერწყვი გაუშრა.

– მიშველეთ, მარინე, – ჟღერადი ხმით ეჩურჩულება აპოლონი და წვერის ბოლოს ყურის ძირში უცაცუნებს. – აბა, აამუშავეთ ეგ პატარა თავი. როგორ დავწეროთ?

– არ ვიცი, – ძლივს იპოვნა ორი დაბალი სიტყვა მარინემ და ალანძული თავი მარცხნივ წაიღო. დირექტორის წვერის უცნაური ღიტინიც და აღულებული სუნთქვაც თან მიჰყვნენ იმ ბეჭს, კისერსა და ყურის ძირს.

– ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, მარინე?

– ჰო... მაგრამ... – ამოიორთქლა გაბრუებულმა ქალმა.

– თუ ეგრეა...

ვერც აპოლონმა დაამთავრა. უფრო გადაიხარა და თავის ბუმბულიანი ყბა ქალის ცხელ ლოყას მიაკრა. მარინემ გაიწია, მაგრამ იმავ წამს მარცხენა იღლიის ქვეშ აპოლონის მძლავრი მკლავი გამოედო, ხოლო შიშველ ბეჭებზე ჯუბაჩის ცივი ტყავი გადაეფარა. მარინე აპოლონის მაჯას დასწვდა და ერთხელ კიდევ გაიწია.

– დაიცა, მარინე... დამაცა.

და ქალის მარჯვენა მაჯა ჩაბღუჯა.

წამოწეულმა მარინემ ერთხელ კიდევ შეიფართხალა დაჭერილი თევზივით, მაგრამ უმალვე სკამზე დაეშვა და განაბა მხოლოდ თავის მარცხენა ხელს მაგრად უჭერდა მარცხენა იღლიის ქვეშ გაყრილს აპოლონის მაჯას და ციებ-ცხელებიან ქათამივით ცახცახებდა. აპოლონმა მეორე ხელით მარჯვენა მკლავი დაუმაგრა და შეჰბოჭა.

ერთ წუთს ორივემ სიტყვა ვეღარ იპოვნეს. ისე გახევდნენ და გატვრინდნენ, თითქოს ურთიერთი შეჰკრეს და დააპატიმრესო.

– მარინე... ყური დამიგდე.

– გამიშვით, – ნელი კვნესით ამოიკვნესა მარინემ, მაგრამ აღარ გაიწია.

– მარინე.. ჩემო მარინე! – ათრთოლებული ხმით აბუტბუტდა დირექტორი. – ყური დამიგდე, ქალო. სათქმელი მაქვს... ბევრი მაქვს სათქმელი. – და წუთიერი დუმილის შემდეგ შეკრულ ყელიდან ხრიალით ძლივს ამოიგდო ერთი სიტყვა: – მიყვარხარ.

და ისევ დადუმდა. მისი ნელი თრთოლა შავი ტყავიდან მარინეს ზურგზე გადადიოდა და აფორიაქებულ სისხლს ცხელი ორთქლივით უღელვებდა.

– ბევრი სათქმელი მაქვს, ბევრი... მიყვარხარ... მიყვარხარ... – ერთხელ კიდევ ჩასჩურჩულა ყურში და „ბევრი სათქმელი“ ამ ერთი სიტყვით ამოსწურა.

მაგრამ ეს ერთი სიტყვა იყო ცხელი, გალხობილი და გულის ჯურღმულიდან მომავალი. სხვა დროს მარინე არ დაიჯერებდა: მკაცრი, ცივი, გულმაგარი და მიუკარებელი აპოლონ რაპოლიძე ყინულის პირიდან ამ ცეცხლიან სიტყვას ვერ ამოუშვებდა. ეს ერთი სიტყვა ისე არ მიუდგებოდა იმის უძრავსა და ბრინჯაოს პირისახეს, როგორც გაცვეთილი და გახუნებული მაუდის ნაჭერი, რომელსაც ლითონისგან ჩამოსხმულ გრუზა თავზე ქუდის მაგივრად ატარებდა. ხოლო ეხლა ეს ერთი სიტყვაც, – დამდნარი ლითონივით ამონახეთქი, ნაკვერცხალივით ცხარე და წმინდა ფოლადივით აელერებული, – ისე უხდებოდა გოლიათ აპოლონ რაპოლიძეს, როგორც ასსურული წვერი, მოკლედ შეკრეჭილი ხშირი ულვაშები, რკინადეჭია კბილები, კაკლის ოდენა ნახშიროვანი თვალები და მარგილის მსგავსი მკლავები, სადაც მოსამსახურე ქალი ისე იყო განაბული, როგორც არწივის კლანჭებში გაბმული ხოხობი.

ბოლოს, ენადაბმულმა დირექტორმა ძლივს იპოვა სიტყვები და ამ სიტყვებს ისე ისროდა, როგორც გახურებულ რვალის ნაჭრებს:

– ყური დამიგდე, მარინე... ორმოცი წლისა შევსრულდი... მაგრამ აქამდე არავინ მყვარებია.

მარინეს კბილებმა ერთხელ კიდევ გაიელვეს მანქანის შავ სარკეში.

– არა გჯერა? გაძლევ პატიოსან სიტყვას... რომ... ერთხელ, ოცი წლის წინათ... მხოლოდ ერთხელ დამემართა, რაც ეხლა მემართება... მას აქეთ ამისთანა რამ აღარ მიგრძვნია.

მარინეს პირისახეზე, შუბლით ნიკაპამდე და ყურით ყურამდე ოდნავმა ეჭვის ღიმილმა გადაურბინა:

– ერთხელ? მართლა?

– ჰო, ჩემო მარინე, ჰო! მხოლოდ ერთხელ... მას აქეთ არავინ მომწონებია... ჩემი გული არავისთვის მიმიცია გესმის?!.. არავისთვის-მეთქი. არავისთვის!

კვლავ გაყუჩდა. მერმე დაუმატა:

– მითხარი რამე... სთქვი რამე...

მარინემ წამოიწია, მობრუნდა და მაღალი ტანით აპოლონს თითქმის გაუტოლდა. სდგას შუბლაკრული, ულიმო ქალი და გაბრწკინებულის, ყავის ფერი თვალებით კაკლის ოდენა მაყვალა თვალებში აშტერდება.

– ეგრე რად მიყურებ, მარინე?

პასუხად გრძელი თითები ტყავის გადმოკეცილ საყელოში ჩასჭიდა, ავარვარებული თავი ჩაჰკიდა და წაიბუტბუტა:

– მჯერა.

ოთხი მკლავი, ორი მკერდი და ორი პირისახე ისე ჩაეხლართნენ და მიეკრნენ ერთმანეთს, თითქო ერთ სხეულად უნდა გადამდნარიყვნენო.

იმავ წუთს აპოლონის აზრმა, სისხლმა და თვალმა ოცი წლის მანძილი მოსპეს და დღევანდელი და მაშინდელი ერთმანეთს შეადუღეს.

* * *

ერთი თვე ძლივს იქნება, რაც აპოლონ რაპოლიძემ მარინე შოფურიძე სამსახურში მიიღო. პირველად რომ შეხედა მთხოვნელის სუფთა და გაშლილ პირისახეს, აშოლტილ ტანს, დიდრონ კბილებს, ყავის ფერ თვალებს და მუდამ ოდნავ გახსნილ ტუჩებს, თვალები მილულა და შეტორტმანებული გული ძლივს შეაყენა სადღაც ჯურღმულში ჩაფ-



გაგრძელება მე-7 გვ.

ერთ დროს დატყვევებული ნაწარმოებები

მიხეილ ჯავახიშვილი

# დამდნარი ჯაჭვი

მეექვსე გვერდიდან

ლულ ვინმეს უცებ ავლი აეყარა და მივიწყებული დედაკაცი, ანაზდად გაცოცხლებული, თვალწინ აეჭიმა. უცნაურმა ძალამ გაჰკრა და გაჰკრა. მაგრამ წითელმა დირექტორმა დაგეშილი ნებისყოფით უნებურად გაქცეულ მოგონებას მაშინვე ისევ წააყარა დავიწყების ფერფლი და ოდნავ მოღიმარე ქალს ისე უთხრა, თითქო კედელს ეუბნებოდა:

– კარგი. ხვალინდელ დღიდან დაიწყეთ მუშაობა.

ქალი გავიდა, ხოლო დირექტორის თვალები მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოსწყდნენ იმ კარებს, რომელმაც ჩაჰყლაპა მარინეს პატარა ფეხები, მაღალი ქუდატანი, სავსე ზურგი, თეთრი კისერი და წაბლის ფერი დიდი ბულული.

სანამ დღიური მუშაობა გათავდებოდა, დირექტორი და მემანქანე ერთმანეთს ერთხელ-ორჯერ ძლივს მოჰკრავდნენ თვალს. მაგრამ მესამე დღიდანვე რაპოლიძის მდივანი თითქმის ყოველ დღე ეტყოდა ხოლმე მარინეს:

– დარჩით. დირექტორს მოხსენება აქვს დასაწერი.

ან კიდევ

– საღამოზე მოდით. სამუშაო გვაქვს.

დარაჯი საწერ მანქანას დირექტორის კაბინეტში გადაიტანდა. მარინეც მანქანას მიუჯდებოდა და კარნახს ელოდებოდა. მაღალი, სრული და შავგვრემანი დირექტორი დიდხანს დადიოდა ჩაფიქრებული და მარცხენა ხელით წვერს იწიწკნიდა. მერე იტყოდა:

– აბა, დავიწყოთ.

და კარნახს დაიწყებდა. მოხსენების მაგიერ უბრალო წერილები იწერებოდა. მარინეს ჯერ არ ესმოდა: რად აძლევდა რაპოლიძე ასეთ მიწერ-მოწერას საიდუმლო ხასიათს, რად ჰკარგავდა თვითონაც ზედმეტ დროს და დამშეულ მარინესაც რად აკარგვინებდა სადილობის დროს. მერე კი მიაგნო და იგრძნო.

დირექტორი კარნახის დროს მემანქანე ქალს წინ დაუჯდებოდა და გრძელი წამწამებით დაბინდულ თვალებს მარინეს სავსე პირისახეს ისე ჩააბეჭდავდა ხოლმე, თითქო იმ პირისახის იქით კიდევ ვიღაცას ხედავდა და ერთი თვალით იმ უჩინარს შესცქეროდა და ნახევარი გულით იმ უხილავზე იყო მიკრებული. ზოგჯერ აზრი გაუწყდებოდა და კარნახში ორიოდე მოკლე კითხვას ჩაურთავდა:

– მაშ თქვენ მარინე გქვიანთ, არა?

– დიაღ.

– მარინე შოფურიძე?

– დიაღ.

– შოფურიძე... შოფურიძე... რაღაც მახსოვს... მაგონდება... სადღაც გამიგია, მაგრამ...

შუბლს ისრესავდა, ჭერს შესცქეროდა, იგონებდა და დაკარგულ ვინაობას ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა.

მარინე გრძნობდა, რომ აპოლონი იმისგან დახმარებას და დავიწყებულის გახსენებას ელოდებოდა, მაგრამ სდუმდა და თავის გვარეულობაზე არაფერს ამბობდა. მხოლოდ ერთხელ სთქვა:

– შოფურიძეები ბევრნი არიან. თქვენ ბაქოშიც ხომ არ გიცხოვრიათ როდესმე?



– არასოდეს. – უპასუხა დირექტორმა.

– ჩვენ ბაქოელები ვართ. იქიდან არსად გავსულვართ. ამიტომ არც ჩემი მშობლების ცნობა გექნებათ.

ამით დასრულდა მარინეს გვარ-ტომობის ძებნა. მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ დირექტორმა ისევ შესწყვიტა კარნახი და ჰკითხა:

– დიდი ხანია, რაც ქალაქში ცხოვრობთ?

– ერთი თვე არც კი იქნება.

– საიდან ჩამოხვედით?

– ბაქოდან.

– მანამდე ტფილისში არ გიცხოვრიათ?

– არასოდეს.

– არც რუსეთში ყოფილხართ?

– არა... არ ვყოფილვარ.

დირექტორი თითქო დამშვიდდა.

– კეთილი. აბა, გავაგრძელოთ. სად შევჩერდით?

– „ჩვენს სახალხო და სახელმწიფო მეურნეობას საფუძვლად აქვს...“

– ჰო, საფუძვლად აქვს...

ზოგჯერ კარნახის დროს მარინეს ზურგის უკან მოექცეოდა და იმის სავსე ბეჭებს, კისრის ბუსუსსა და აბრეშუმის დალალს, – ბულულივით აყრილს, ღია წაბლის ფერ თმას თავის გულზე იხვევდა. ქალიც ზოგჯერ თავს გვერდით მოიგდებდა, უკან მიიხედავდა, მორცხვად გაიღიმებდა და გონდაკარგულ დირექტორს ჰკითხავდა:

– მერე?

– ჰო... ეხლავე... უკანასკნელი სიტყვა წამიკითხეთ.

მარინე დანაწერს წაუკითხავდა, მერმე მანქანას ან კედელს ჩააშტერდებოდა და იცდიდა. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ რაპოლიძე უცებ გამოვიდოდა ხოლმე უჩვეულო ბურანიდან და თითქო თავის თავს მიუგდებდა:

– გვეყოფა... წადით... სადილი გაგიცივდებათ.

და ბაკუნით მიმავალ ქალს დანისლულ თვალებს გააყოლებდა.

* * *

ერთ თვეში წითელი დირექტორი უცნაურად შეიცვალა: მოლბა, მოდუნდა და გაფაქიზდა. მაგიდას მუშტით აღარ ამტვრევდა, აღარც კედლებს ეხეთქებოდა და არც ხაფი ხმით გრგვინავდა:

– აბა, ჩქარა!.. ეხლავე!.. მომშორდით თავიდან, თორემ...

ვიღაცამ თუ რაღაცამ სირბილი სიარულზე შეაცვლევინა, მუშტები მოუდუნა და ლბილი სიტყვები შეასწავლა:

–გთხოვთ... ცნობა მიბოძეთ... ნუ დამაგვიანებთ... სკამი ინებეთ.

ზოგჯერ დიდი ხნით გაირინდებოდა, დასევდილ თვალებს ერთ წერტილს მიაბჯენდა და ოთახში შემოსულს ძლივსღა ამჩნევდა.

მისი გაკაჟებული გული, – დაულეველ ჭირში, გაყინულ კატორღაში და დაუსრულებელ ბრძოლაში ნაწრთობი, – ერთ თვეში შეუმჩნევლად მოლბა და გაცვილდა. საგულეში ცივი რკინის ნაცვლად თბილი სანთელი აენთო, ხოლო სუსხიანი სისხლი იმ სანთელზე ყინულივით გალხვა და დადნა, მერმე ის სანთელი აბობოქრებულ ხანძრად გადაექცა, ხოლო აჩუჩუნებული სისხლი ისე აუდუღდა, თითქო ათასი ეშმაკი დღე და ღამ ჯოჯოხეთის ცეცხლს უკეთებდნენო.

და იმ დღეს აჩუყებულმა სისხლმა საბურველი ამოხეთქა, ხოლო მისი ცეცხლი მარინესაც მოედო და ორივენი დიდი ხუთშაბათის ჭიაკოკონასავით ააპრიალა.

II

– კარგი, გეყოფა... ნუ გაგიჟდი. გეყოფა მეთქი. – მეათეჯერ ამბობს მარინე და აპოლონის მკლავებიდან ვითომ გამოსხლტომას ჰლამობს. მაგრამ ისევ თვითონვე ეხუტება, ლოყით შავ წვერს ეხახუნება და ხანგამოშვებით თავის ანთებულ ტუჩებს დასალევ ფიალასავით უშვერს.

ბოლოს, ხელიდან გაუსხლტა, მინიან კარადას მიადგა და გაწეწილი თმა შეისწორა. მერმე ისევ აპოლონს მიუბრუნდა, რომელიც სავარძელში ჩაწოლილიყო და მიბნედილ თვალებს პაპიროზის კვამლს აყოლებდა:

– ეხლა? არ წავიდეთ?

დირექტორი წამოდგა. ხელები მკლავებში ჩაავლო და უთხრა:

– ხომ მენდობი?

– რა თქმა უნდა, მერე, რა გინდა?

– დავრეტიანდი. მარტო ვერ გავძლებ. უშენობა აღარ შემიძლიან. მცხეთისკენ გავიაროთ და მოვილაპარაკოთ. ხომ არ გეშინიან?

– შენთან?! არა, მაგრამ... დამიგვიანდება. დედა რას იტყვის?

დედა რას იტყვისო?! რაც უნდა, სთქვას. საკვირველია, რატომ ვერ შეეჩვია აქამდე მარინე ქალი ახალ ქვეყანას!

– შევეჩვიე, მაგრამ...

შეეჩვია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შეეჩვია.

– სადაური შეჩვევაა, თუ მუდამ შიშში ხარ: დედა რას იფიქრებს? რას იტყვის? რა თვალით შეხედავს ჩემს დაგვიანებას? ეგ არის დღევანდელი ქალის თავისუფლება?

მარინე ყოყმანობს.

– დამიგვიანდება დედა ძებნას დამიწყებს.

არა, ქალო, არ დაიგვიანებ. ერთი საათი გზას დასჭირდება, ერთიც სადილს. ეხლა ხუთი საათია. შვიდზე შინ იქნები.

კარგი, აპოლონ, კარგი. დამშვიდდი. ოღონდ ნუ გაუწყრები შენს მარინეს, ოღონდ ნუ აღელდები და მარინე ეხლავე დაგიმტკიცებს, რომ ის ახალი ქვეყნის ქალია.

– დედა შენმა რომ გაიგოს ჩვენი გასეირნება ავტომობილით, რას გეტყვის?

– რაც უნდა, სთქვას.

– შენ რას ეტყვი?

მარინე ეტყვის: მე აპოლონი მიყვარს და...

– აბა, მაჩვენე, როგორ გიყვარს?

– აი, ესე.

ერთხელ კიდევ ჩაეხვივნენ ერთმანეთს და გამოვიდნენ. ქუჩაში დირექტორს ავტო ელის.

– დაიცა, აპოლონ. ერთად ნუ გავივლით შუა ქალაქში, თორემ აყაყანდებიან: დირექტორი თავის მოსამსახურე ქალს სახაზინო ავტომობილით ასეირნებსო.

კისერიმც მოუტეხიათ! რამდენიც ენებოთ, იმდენი იჭორიკონ: აქამდე რაპოლიძის გვერდით ქალი არავის უნახავს. დღეიდან კი აპოლონი მარინეს აღარ მოშორდება. ჩაჯექი, მარინე, ჩაჯექი.

– სიმონ, მცხეთისკენ გავისეირნოთ?

შოფერს უკვირს. იღიმება.

– რატომ არა, წავიდეთ.

– მაშ, გაუტიე.

* * *

გაუტიეს. შემოდგომის თბილი დღეა. ძალმოტეხილი მზე სერზე შემდგარა და ყოყმანობს. ლაჟვარდი ცა მოოქროვილ ნამგალა ღრუბლებით მოფენილა. მყინვარის თავი უზარმაზარ ნაკვერცხალივით აშოტილა. დიღმის ველი, გაღმა მხარე და ზედაზენის ქედი ლალნარევი დამდნარი ქარვით არიან შეპკურებულნი.

ორმოცძალიანი ბენცი გუგუნით მიჰქრის და კორიანტელის გრძელ კუდს მიათრევს. გარინდული მარინე აპოლონის განიერ მკერდს მიჰკვრია. იგი თრთის და ირხევა. ზოგჯერ ავტო ორივეს განზე გაისვრის ან ზევით შეახტუნებს. მაგრამ ორივენი, განუყრელნი არიან, როგორც ერთი სხეული: აპოლონის მკლავს საბედოს წელი რკინის კარშიკივით შეუსალტავს.

– აგერ, ტივი. ალბათ ბორჯომიდან მოდის. – ჩასჩურჩულებს აპოლონის მკერდს მარინე.

გაღმა, ვერხვებისა და ბუჩქნარის ძირში ტივი უზარმაზარ ნაფოტივით მოსრიალებს და ორს ორთაყვირს ისე იქნევს, როგორც უცხო რამ კალია ორს მოტეხილ ფეხს.

– ბორჯომში ყოფილხარ, მარინე?

მარინე ბორძიკობს:

– მე?... ბორჯომში? – და დონდლოდ ათავებს: – არა, არ ვყოფილვარ.

– მაშ საიდან იცი, რომ ტივები ბორჯომიდან მოდიან ხოლმე?

– ვიცი... გამიგია.

– არც ამ გზაზე გივლია? მცხეთა არ გინახავს?

მარინე ისევ ყოყმანობს:

– არა... არ მივლია... არ მინახავს.

აპოლონს მარინეს ყოყმანი არ ესმის. მისი გული უცხო და უცდელი მადლით არის გატენილი, ხოლო აზრი ხვალინდელს ზომავს და მომავალზე ზრუნავს: რა იქნება ხვალ, ზეგ, მაზეგ, მარინე თვრამეტი წლისა ძლივს იქნება. როგორც ეტყობა, კარგად არის გაზრდილი და განათლებული. კარგი ოჯახის შვილი მოსჩანს. ესეც რომ არ იყოს, უბრალოდ ვერ მოიჯერებს ჟინს და ისე ადვილად ვერ მოიშორებს, როგორც აქამდე მოექცა სამს თუ ოთხს ქარაფშუტას, რადგან... მართლა უყვარს ეს ქალი აპოლონს, თუ... არა, არა! შორს ასეთი ტუტუცური ეჭვი, შორს!

– მარინე!.. ჩემო მარინე! ხომ არ გცივა, ქალო?

მარინე ბულულიან თავს იქნევს და ბინდ-ბუნდად იღიმება. არა, მარინეს არ სცივა. თავისი მსუბუქი მოსასხამიც ეყოფა. ყურით სცდილობს ტყავის ჯუბაჩი გაუღეღოს და თავი შიგ შეჰყოს.

აპოლონმა ტყავის კალთა გადაიკეცა და მარინეს თავის ნახევარი უბეში შეუშვა.

„საოცარია! – გუნებაში ამბობს აპოლონი. – იმასაც ესე უყვარდა გარინდება და ძილიც. ყველაფერში იმას ჰგავს, ყველაფერში: ტანი, პირისახე, მიხვრა-მოხვრა, სიტყვა და... ალერსიც“.

– მარინე, დედა შენს რა ჰქვიან?

ისევ ტორტმანი და ლულღული:

– ელენე.

ავტომ დიღმის ველზე გზა გაისწორა და ქაქანსა და გუგუნს მოუხშირა. ქალაქისკენ ტაატით მიმავალი ურმები თითქო მიჰქრიან. მენახირე ბიჭებმა მგზავრებს სახრეები მოუქნიეს, ხორხი დაუშინეს და ჟივილით რაღაც მიაძახეს. აჭალიდან უზარმაზარი თავშავა წითელი გველი მისცოცავს და თავის ნაორთქლს ღრუბლის ბურთებივით ისვრის.

რკინის ხიდთან გორაკის კონცხს შემოურბინეს, რკინის გზა გადასჭრეს და მუხათ გვერდას შეუდგნენ. მარინე გაღმა იხედება და ფიქრებში წასულ აპოლონს ეკითხება:

– ეს რა არის? ზაჰესია, არა?

– ჰო, გენაცვა, ზაჰესია

სხვას და სხვა დროს აპოლონი მრავალს მოუთხრობდა დიდი ელექტროსადგურის შესახებ, რომელიც ჯვრის მონასტერის ძირში შენდებოდა ეხლა კი დადუმებული იყო. თითქო არ ეცალა. არაგვის ხეობას გასცქეროდა და ისევ მომავალს ჰბურღავდა.

პატარა ქალაქმაც გაირბინა. ხეობაში უკვე ბინდ-ბუნდი იშლიდა მუქ ფრთებს. მხოლოდ ჯვარის გუმბათი იწვოდა. ზედაზენის ქედი დაჩოქილს საარაკო ვეშაპს ჰგავდა, რომელსაც ცხვირი წყლის დასალევად არაგვში ჩაეყო, ხოლო აგრეხილი და მოოქროვილი ხერხემალი ცის სიღრმეში აეშოტნა. პატარა და დაწმენდილი არაგვიც ისე მიჰკვრიყო განიერსა და ბებერ მტკვარს, როგორც მობუზული მარინე აპოლონ რაპოლიძეს, რომელიც შავი კლდესავით გაჯაჯგულიყო. მაღალი და განიერი სვეტი ცხოველი გაქვავებულ გო-

გაგრძელება მე-8 გვ.

## ერთ დროს დატყვევებული ნაწარმოებები

მიხეილ ჯავახიშვილი

# დამდნარი ჯაჭვი

მეშვიდე გვერდიდან

ლიათივით დასცქეროდა ქოხმახიან სოფელს. ლართის კარის ჩამოგლეჯილი გულმკერდი თითქო შესჩიოდა ზედაზენს, არაგვსა და თავმოგლეჯილ ბებრის ციხეს: „აჰა, შემომხედეთ და შემიბრალეთ! აი, როგორ ჩამინგრიეს გული და განმძარცვეს სამოსელი!"

ორთქლმავალის საყვირმა საზღაპრო რკინის რაშივით დაიჭიხვინა. არმაზის კლდეებმა ის ჭიხვინი მოიტაცეს და მტკვრის გაღმა-გამოღმა ერთმანეთს ბურთივით გადაუგდეს. ბოლოს, ლითონის ხრიალი სადღაც შორს, შიო მღვიმეს საკნებში შთაინთქა.

ავტომ მიუხვ-მოუხვია, ქვის ხიდის დამტვრეული ზურგი გადირბინა და მცხეთისკენ მიბრუნდა.

მარინემ იდაყვი წაჰკრა აპოლონს და თვალებში გაუღიმა.

– სად მივდივართ? დაგეძინა?

აპოლონი გამოფხიზლდა ცალი თათი ფართე შუბლზე გადაუსვა და ეშმაკურად ჩაუცინა:

– კარგი, გაჩუმდი! – შეუტია მარინემ. – არ გიხდება ეგეთი ხუმრობა.

– მე არა ვხუმრობ.

– კიდევ უარესი. ეგ სიტყვა არ გიხდება მეთქი.

რატომ? რატომ არ მიხდება?

მარინე უფრო მიეხუტა, მერმე გაუბედავად ჩაიბუტბუტა:

– არ ვიცი. ვერ გეტყვი... არ შეგშვენის.

– იქნება კიდევ სხვა რამ არ მიხდება?

– დანარჩენი ყველაფერი გიხდება.

– მაგალითად, რომ გეტყვი ხოლმე: მიყვარხარ, ეს სიტყვა კი მიხდება?

მარინემ აპოლონის ფერდთან ჩაიხითხითა:

– ძალიან, ძალიან! არა, კიდევა სთქვი.

– მარინე, მი-ყვარ-ხარ. – ჩასჩურჩულა ყურში აპოლონმა.

ისევ ჩუმი ხითხითი და ნელი თრთოლვა.

– აბა, ერთხელ კიდევ... კიდევ ერთხელ... კიდევ... კიდევ... ათჯერ კიდევ... ასჯერ... ათასჯერ.

და დირექტორის ჩაღუნული თავი გულიდან ამომავალ სიტყვას ათჯერ და ოცჯერ ჩასჩურჩულებს:

– მიყვარხარ, მარინე... მიყვარხარ, ქალო... გაიგე? მიყვარხარ მეთქი...

ხოლო იმის იღლიაში შემძვრალი მარინე ჩუმი სიცილით იცინის და ისე ფამფალებს, თითქო ვიღაც ან რაღაც სხეულის ყოველ წერტილს ულიტინებსო. მერმე გასწორდა და გადიხარხარა.

– რა გაცინებს, ქალო?

– ხი-ხი-ხი... დღეს დილით არც კი დავიჯერებდი, რომ შენ ეგ სიტყვა იცოდი. ხი-ხი... რომ მაგ სიტყვის თქმას მოახერხებდი.

– რად გეგონა ეგრე?

– იმიტომ, რომ... პირქუში ხარ.

– მარტო მაგიტომ?

– ბლვერია ხარ... კამეჩივით.

– ხო-ხო-ხო... კიდევ? კიდევ რა ვარ?

– კიდევ გინდა? ღრენია ხარ... ყურშა ძაღლივით.

დირექტორის ხარხარმა ბენცის ხვიხვინი ჩააჩუმა:

– კიდევ? კიდევ რა ვარ?

– ბლენძია ხარ... ინდოურივით. ბაჯბაჯა ხარ დევივით.

„დევმა" ისე მოსწია წელწვრილა მარინე და ისე დაიქუხა, რომ ქალის წრიპინი და კვნესა ვერც კი გაიგონა. უცებ გონს მოვიდა და დაფეთდა:

– ხომ არ გეტკინა?.. ხომ არაფერი მოგტეხე?.. უი, გამიხმეს ეს ხელი. – და ერთი ხელით მეორეს დაუწყო ცემა. – ბოდიში, გენაცვალე, ბოდიში! მაპატიე, შენი ჭირი მე, მაპატიე!

მარინემ ცალი ხელით ნეკნები გაისინჯა და ნაძალადევად გაიღიმა:

– არც ეგ სიტყვა გიხდება.

– რომელი?

– „ბოდიში" და „მაპატიე".

– კარგი, გენაცვა, კარგი. ამ ორ სიტყვას არასოდეს აღარ ვიხმარებ, არც მაშინ, როდესაც ნამდვილად დავაშავებ.

– მაშინ? ჰმ... მაშინ ვნახოთ.

– სიმონ, გაჩერდი! – მიუბრუნდა აპოლონი შოფერს.

ბენცი უკანასკნელ დუქანთან მიწრიალდა და შესდგა

– მობრძანდით... დაბრძანდით. – გამოეგება მედუქნე – რას მიირთმევთ? ჰამე? რა მაქვს? ყველაფერი მაქვს, რაღა.

ჭუჭყიან მაგიდას მიუსხდნენ და ჩიხირთმა, მწვადი და ღვინო მოითხოვეს. წვნიანი მალე შესვრიპეს და ორ-ორი ჭიქა წითელი დააყოლეს.

– მარინე, მიამბე რამე.

რაღა უნდა გიამბოს მარინემ, აპოლონ? რაც სათქმელი ჰქონდა, უკვე სთქვა. თავგადასავალი არაფერი აქვს. წელანაც სთქვა: ბაქოში დაიბადა და ისე გაიზარდა, რომ იმ ქალაქიდან არც კი გამოსულა.

– ვინ იყო მამა შენი?

– მამა ჩემი?... მამა ჩემი იყო... მამა ჩემი ექიმი იყო... დიაღ, ექიმი იყო.

– რამდენი ხანია, რაც... მგონი გარდაიცვალა, არა?

მარინე მაგიდაზე პურის სორსოლას აგორავებს. აკეცილი შუბლი განზე მიაქვს და პირიდან თითქო თოკით ამოაქვს:

– შარშანწინ...

– სად?

– ბაქოში.

უცებ თეთრ ლოყაზე ჯერ ორი კურცხალი აუბზინდა. მერმე მეორე, მეხუთე და მეათე. შემდეგ მკლავები მაგიდაზე გაშალა, ზედ თავი დაიგდო და აქვითინდა.

მიკიტანს გამოშვერილი შამფურები ჰაერშივე გაუშეშდა:

– ვა-ა-ა... – გააგრძელა და პირიც ღია დარჩა.

სიმონი გარეთ გავიდა.

აპოლონი ჯერ დაიბნა. მერმე უშნოდ აფუსფუსდა და ალუღლუღდა:

– მარინე... ჩემო მარინე! რა დაგემართა, ქალო? აი, წყალი დალიე... ღვინოც მიაყოლე.

მამის სიკვდილი?! მერე, რაო! ადრე თუ გვიან, ყველა მამები იხოცებიან. აპოლონსაც მოუკვდა მამა დედაც დარდმა გადაიტანა. ვერ გაუძლეს ერთადერთი შვილის გაციმბირებას. მარინესაც აპოლონის გული უნდა ჰქონდეს: მტკიცე, კაჟიანი და უდრეკი, თორემ ასეთი ჩვილი გულის პატრონი დღევანდელ მკაცრ ცხოვრებას ვერ გაუძლებს.

– ორი წლის მკვდარი ასე ადვილად არ უნდა მოიგონო.

სხვა რამ მატირებს, თორემ... – სლუკუნებს მარინე.

– რა გატირებს? მითხარი, გენაცვალე, მაშ რა გატირებს?

უთხრას მარინემ? არა, არა! ნამდვილ მიზეზს ვერ ეტყვის. ეხლა მაინც ვერ ეტყვის. არ შეიძლება დღეს ან ხვალ ამის თქმა, არა!

– ოდესმე... შემდეგში გეტყვი.

– როცა შენი ქმარი გავხდები, არა?

მარინე იღიმება და ხელსახოცით თვალებს იშრობს:

– ჰო... მერე... ოდესმე.

– ვააა, მწვადი გაცივდა, რაღა!

– აგონდება მწვადის ბედი მიკიტანს.

მარინეს მწვადი აღარ უნდა. იმისი წილი აი, ამ ძაღლმა შესჭამოს.

– ტუგო, ინებე ჩემი წილი.

და კუდა ძაღლი ხლაპუნით ჰაერშივე იჭერს ერთ ნაჭერს, მეორეს, მესამეს.

– ერიჰააა! – ჰკვირობს მიკიტანი, – ძაღლმა უნდა მწვადი სჭამოს?! ერთი ღარიბი და ავადმყოფი მეზობელი მყავს. თვეში ერთხელაც ვერ ჩაიდებს პირში მწვადს. ჰაზირ იმას უფრო არ შეერგება? თქვენს გახარებასაც ილოცავს.

მართლა? თუ ეგეთი ღარიბია, რა თქმა უნდა, უფრო შეერგება. ეხლავე დაუძახეთ. დაჯდეს და გაათავოს. ერთი ბოთლი ღვინოც ჩამოუსხი. ჩვენი გაბედნიერება ილოცოს. აპოლონ, ხომ შეიძლება?

– რა თქმა უნდა. ოღონდ ერთი პირობით: ეს ბოთლი ჩვენვე უნდა დავცალოთ.

– კეთილი. ეგრე იყოს. მარინეს ღვინო სწყურიან. დაუსხი, აპოლონ, დაუსხი!

– ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ჩვენი... – და აპოლონს ყურში ჩასჩურჩულა: – ჩვენი სიყვარული.

ერთი კიდევ, აპოლონ, ერთი კიდევ დაუსხი მარინეს. დღეს სხვა დღეა. უნდა დალიოს. რაღაც სხვანაირმა გუნებამ მოუარა:

– დღევანდელი დღე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. ჩემი ბედი ვიპოვნე. შენ, აპოლონ? შენ რას იტყვი?

– ჩემთვისაც, ჩემო მარინე, ჩემთვისაც. მეც ვიპოვნე საბედო, მეც.

მართლა?! ოოჰ, რა ბედნიერია მარინე! სიხარული გულში აღარ ეტევა. იგი ღელავს და ამოხეთქვას ჰლამობს. ლამის შადრევანივით იფეთქოს. მარინე ველარ უძლებს. მას სირბილი, ყვირილი, სიმღერა და ცეკვა სწყურიან.

– აპოლონ, გავიაროთ!

ოთახიდან გავარდა. ერთი ხელით კაბა აიკეცა და გაიქცა. უკნიდან მთვარე უცინის და ბაგაბუგით შავი ლანდი მისდევს.

– მარინე, არ წაიქცე!.. ნელა, ქალო!

– დამეწიე! დამეწიე, თუ შეგიძლიან.

მირბის მარინე. მისდევს აპოლონი. წამოეწია და ორივე ხელი გაიშვირა. კაბა შრიალით გაუსხლტა და ორღობეში შეერია.

– არ წაიქცე მეთქი!

და დაღლილი მარინე მკერდზე მიისვენა.

მიბაკუნებს მარინე და ჰკივის:

– ჰეი, ჰეი!

იქვე კარმა დაიჭრაჭუნა და ძაღლმა დაიყეფა.

– რომელი ხარ მანდა? – ისმის გლეხის ხმა.

– ვინცა ვარ, სულ ერთია. ღმერთმა ჩემსავით გაგაბედნიეროს. – უპასუხებს მარინე.

– ჰაი, აგაშენოს ღმერთმა! მანდეთ საით მიდიხარ, ქალო? – ეკითხება ღობეზე მომდგარი ლანდი. – მანდეთ არაგვზე ჩახვალ.

– მეც ეგ მინდა, ძმობილო. მშვიდობით!

– ღმერთმა გზა მოგცეს, და ბედი დაგილოცოს, კაი ვინმე ჰყოფილხარ. – კურთხევას უთვლის უცნობი.

– ქალო, არაგვზე რა გინდა! აი, ამ ბაღში დავსხდეთ. – ურჩევს აპოლონი.

– გემო არა გქონია, აპოლონ. აი, მივედით კიდევაც. აგერ, არაგვი ლაპლაპებს.

[illegible] გადასტრეს და არაგვს მიაქანეს. წყალი შხეპით [illegible] ტყუნებს. გაღმა, გორაკზე, ღიწა[illegible] [illegible] ქვეით, ჯვარის კლდეზე მონასტერი ბაჯბაჯა დევივით გადმომჯდარა. იმ კლდის ძირში, უფრო ქვეით, ელექტროსადგურის პატარა ქალაქი ათასი ჭაღით გაუშუქებიათ.

მარინე ქვებს ჰკრეფავს და არაგვში ისვრის. მერმე მთვარეს შესცქერის და სავსე ხმით მღერის.

– მეორე მითხარი, აპოლონ!

– მო-ო... ა-ახო-ხო-ო... – ლორთქოთოს ხმით სტყუის დირექტორი.

– გაჩუმდი! გაჩუმდი! – უყვირის მარინე. – სიმღერა არ გცოდნია. სმენა არ გქონია.

– ეგ კი მართალი სთქვი. – მორჩილი ხმით ეთანხმება აპოლონი.

მარინე მარტო მღერის. მღერის ახალი ხმით, იქვე მოგონილ სიტყვებით, იდუმალის ძალით, გატენილი გულით და გაგანიერებული მკერდით, რომელიც ისე მიუშვერია მთვარესთვის, თითქო ეუბნებაო: „აჰა! აი ჩემი სიხარული და სიმდიდრე. მიყვარს და ვიტანჯები. აჰა! მიიღე, გასძეხი და მეც დამიურვე!"

მერმე გაჩუმდა და ისე გაიზმორა, რომ სახსრებმა გაილაწუნეს. აპოლონმა უკნიდან მკლავები მოჰხვია და ისეთი უცნაურისა და დაბალის ხმით სთქვა, რომ თვითონაც ვერ იცნო თავისი ხმა:

– მარინე...

არაფერი უპასუხა. მამაკაცის ღონიერ მაჯებს, სალტესავით მკერდზე შემოხვეულთ, ხელები ჩასჭიდა და ისე მოუჭირა, თითქო მათი დამსხვრევა უნდოდაო, თან აიგრიხა და გაიწ-გამოიწია.

– მარინე. – ჩამხჩვალი ხმით განიმეორა აპოლონმა და ქალი მშრალ ქვიშაზე წააქცია. – ჩემო მარინე...

– გამიშვი...

ვერც მარინემ იცნო თავისი ხმა

– მარინე... დაიცა, ქალო. ყური მიგდე... მე და შენ... მე და შენ ცოლ-ქმარი ვართ.

– არა.

– ცოლ-ქმარი ვართ მეთქი.

მარინემ ვეღარაფერი უპასუხა ორი აცახცახებული ხელი ყელში მიაბჯინა და გახევდა.

– ხვალვე წავიდეთ და გავათაოთ. ხვალიდან კანონიერი ცოლ-ქმარი ვიქნებით.

– მაშ ხვალ იყოს... ეხლა კი გამიშვი.

– არა, არ გაგიშვებ.

მერმე ბრძოლა დაიწყო. ორივენი აფთრებივით იბრძოდნენ: კვნესით, ხვეწნით, კაწვრით და გამწარებით. ქალი მძლავრი გამოდგა. ხან ეხვეწებოდა, ხან ემუქრებოდა, ხან უსხლტებოდა, მაგრამ იმავ წამს თვითონვე ებღაუჭებოდა, თავისკენ იზიდავდა, გულში იხუტავდა და გაუგებარსა და უცნაურს ლუღლუღებდა. მერმე უცებ მოდუნდა, გალხვა და ასლუკუნდა. აღარ იბრძოდა და აღარც შეეძლო.

გაგრძელება იქნება

## საქართველოს «მესურათხატე»



**ფოტოგაერთიანება „სხივის" საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ცნობილი ფოტოგრაფ-მემატიანის ალექსანდრე როინიშვილის ნამუშევრების გამოფენა.**

საქართველოს ისტორიის უტყუარი მემატიანე, ქართული ფოტოგრაფიის მამამთავარი ალ.როინიშვილი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ერის, ქვეყნის სამსახურს შეალია, ასეთი სიტყვებით დაიტირა დიდმა ილიამ: „ალექსანდრე როინიშვილი თავის თავს კი არ მოუკვდა, მოუკვდა თავის ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის საკუთარ ბედად და უბედობად გაიხადა და ამის გარე სხვა საგანი ცხოვრებისა არ ჰქონია. თითოეული ამისთანა ადამიანი ძალ-ღონე და ციხე-სიმაგრეა; ერისა, ქვეყნისა, და მის მიერ განვლილი ღვაწლით გაჩრილი გზა მთელი სკოლაა, და მწვრთნელია ყველასი, ვისაც კი კაცობრიობისათვის გული ერჩის".

საქართველოს სახელმწიფო არქივსა და მუზეუმებში დღემდის ინახება ალ.როინიშვილის მიერ გადაღებული ასობით ფოტოდოკუმენტი. მათზე ასახულია: სვეტიცხოვლის ტაძარი, შუამთა, საინგილო, ქალაქ ანის ციხე-გალავანი, ქვათახევი, აჯამეთი და დაღესტნის აულები. ამ ფოტოდოკუმენტებზე თვალს იტაცებს არამარტო ეკლესიათა და ტაძართა გარეთა ხედი, არამედ მისი ყველა კუთხე, დეტალი, თითოეული ჩუქურთმა, კედლის წარწერა, საეკლესიო ნივთები და წიგნები.

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა იკონოგრაფიას დიდი ღვაწლი დასდო ალ.როინიშვილმა. მას არ გამორჩენია თითქმის არცერთი მისი თანამედროვე მწერალი, მეცნიერი, ხელოვანი, საეკლესიო თუ საზოგადო მოღვაწე, რომ ფირზე არ აღებეჭდოს. შთამომავლობას შემოუნახა ფოტოხელოვანმა ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, დიმიტრი ყიფიანის, ლადო მესხიშვილის და სხვათა პორტრეტები.

1898 წლის 11 მაისს ალექსანდრე როინიშვილის გარდაცვალებამ ქართველ ხალხში გულწრფელი მწუხარება გამოიწვია. ქართულმა საზოგადოებამ პატივი მიაგო მის დიდ დამსახურებას და სასიქადულო მამულიშვილი, ცნობილი ფოტოხელოვანი დიდუბის პანთეონში დაკრძალა.

**შ.ინასარიძე,**
**კულტურის დამსახურებული მუშაკი**

# „სელეზნიოვები“ „იზლერის ბალიდან“ და მათრახნაკრავი ბედაურები... ქართული ანდაზიდან

## ანუ ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — ბ-ნ ზურაბ ჟვანიას და ფრაქცია „ეროვნული დემოკრატის“ ლიდერს ბ-ნ მამუკა გიორგაძეს

I

ის ბრძნული ლექცია რუსული ცივილიზაციის თაიგულის, „იზლერის ბალის“ შესახებ, რომელიც ერთ დროს ლოთმა პადპარუჩიკმა „წაუკითხა“ ჭაბუკ ილია ჭავჭავაძეს ლარსის „სტანციაში“, იმით განსხვავდება ბ-ნ სელეზნიოვის ამასწინანდელი ლექციისაგან (რომელშიც მან არანაკლებ ბრძნულად შეგვახსენა ზოგიერთი გამოჩენილი ქართველი პოეტის და კიდევ მეტად გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის ვინაობა საბჭოური იდეოლოგიის სტილში), რომ „იმ“ პადპარუჩიკს ჰონორარად სულ 100 გრამი „რომი“ თუ არა, „ჟიპიტაური“ მაინც სწყუროდა, ხოლო ბ-ნ სელეზნიოვს და მის ამალას – კვლავ გულდაჯერება იმაში, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიების ურთგულესი ქვეშევრდომი – მზიური საქართველო, კვლავაც ერთგულია დემოკრატიული რუსეთისა (მიუხედავად იმისა, რომ ამ „ერთგულებას“ დღეს „პარტნიორობა“ ჰქვია).

და სწორედ ამ „წყურვილის მოსაკლავად“ იყო, რომ საპატიო სტუმარმა უნიჭიერესი ფანდით გამოიყენა ეროვნულ-დემოკრატების ფრაქციის მიერ დარბაზის დატოვება – „შეაწერა-რა“ პარლამენტს და მთელ საქართველოს – ანტირუსული „ხვაშიადი“; მაგრამ პასუხად დაუყოვნებლივ „მიილო-რა“ ათასერთი იმერული ბოდიშით შეზავებული საპროტესტო „ხაჭაპური“, რამდენიმე დღის შემდეგ მან უკვე „მშობლიურ მოსკოვში“ საზეიმოდ მოახსენა „პრესკონფერანტებს“, რომ ვარაუდი მზიურ საქართველოში და, კერძოდ, მზიურ აჭარაში ანტირუსულ განწყობათა არსებობის შესახებ – ქართველი პარლამენტარების მხრიდან „Было встречено в Штыки...!“

რა თქმა უნდა, რუსული პარლამენტარიზმის ამ „ბედაურმა“ მშვენივრად იცოდა, რომ ეთნიკური ხასიათის არც „ანტირუსულ“ და, საერთოდ, „არანაირი“ ადრესის ანტი-ეთნიკურ“ განწყობებს იგი საქართველოში ვერასოდეს (თვით „პადპარუჩიკის“ დროსაც კი) ვერ წააწყდებოდა, მაგრამ „მიჩქმალარა“ ამ უნიჭოდ დაშტამპული ფანდით საქართველოში ორასი წლის მანძილზე არსებული პოლიტიკური „იერის“ ანტირუსულ განწყობათა „არსებობა“, მან თავის გამოსვლაში ქარაგმულადვე იწინასწარმეტყველა რუსეთის საკონსულოს გახსნა ბათუმში („რა თქმა უნდა“, აჭარისავე რესპუბლიკის სურვილით და რუსული „აგრანიჩენნი კანტოგენტის“ ზურგით!).

და, ჩემის აზრით, სწორედ ამიტომ წაბრძანდა თბილისის „საჯირითოდან“ (სარბიელიდან) ბ-ნი სელეზნიოვი და მისი ამალა – „მომგებიანი ქულებით“ ხელდამშვენებული, რომელი ქულებიც წინასწარ დაერიცხება „გაუცინარ ხელმწიფეს“ – ვიქტორ ჩერნომირდინის, ამ კიდევ უფრო ეჭვიანი კაცის კიდევ უფრო „ბრწყინვალე“ ვიზიტს (იმედია, „მზის და ვარდობის“ დროს).

ხოლო, თუკი ამ „მეგობრულ შეხლა-შემოხლა“-ში რაიმე ქულები „დაჰკარგა“ ვინმემ, ჩემის აზრით (!), დაჰკარგეთ თქვენ, ბატონო მამუკა, – თქვენს ფრაქციასთან ერთად და, აი, რატომ:

II

ჩემის აზრით, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ დარბაზის დატოვებით (ანუ „საჯირითოს დატოვებით“) თქვენ ქულები კი არ დაჰკარგეთ, არამედ „დასთმეთ“, რასაც პირადად მე ვერც „ხელგაშლილობად“ ჩაგითვლით და ვერც სიმამაცედ“.

ვერ ჩაგითვლით, ვინაიდან, ჯერ ერთი, თქვენ ხელიდან გაუშვით ბრწყინვალე შანსი „მეგობრობისა და თანამშრომლობის“ ბედაურზე ამხედრებული ლიად თვალთმაქცი „ჯიგიტის“ სელეზნიოვის უნაგირიდან ჩამოგდებისა და, რაც მთავარია (ესეც ჩემის აზრით), თქვენ უკვე მაშინ „მოამზადეთ“ ამ „შანსის“ დაკარგვა, როცა ადრე გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ფრაქციის სახელით მოითხოვეთ აღკვეთა რუსეთის პარლამენტართა ვიზიტისა – საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმების საბოლოო დადგენამდე (ანუ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების რატიფიცირებამდე).

ამ დროს კი, საპარლამენტო ლია ჯირითში ტრიუმფისათვის თქვენ (ჩემის აზრით) ხელთ გქონდათ შესანიშნავად დაწნული მათრახი, – 1990 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მისი თავმჯდომარისა და მაშინდელი ცეკას პირველი მდივნის ამხ. ბ-ნ (?) გივი გუმბარიძის მიერ მიღებული ისტორიული (საბჭოთა ეპოქისთვის არნახული) (იხ. იმ წლის 10 მარტისა და 29 ივლისის ცენტრალური პრესა), რომლის ძალითაც უკომპრომისოდაა „დადგენილი“ და დაფიქსირებული რუსეთ-საქართველოს მომავალი პოლიტიკური და სამეურნეო ურთიერთობათა ნორმების „საფუძველთ-საფუძველი“:

1. 1921 წელს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო ძალების მიერ საქართველოს სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა;

2. და, ამ დაპყრობის შედეგად, რუსული საბჭოთა ხელისუფლებისაგან საქართველოს კანონიერი (რუსეთის და მსოფლიოს მიერვე აღიარებული) ხელისუფლების მიერ შემუშავებული და დაფუძნებული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მაგიერ ძალისმიერად თავსმოხვეული საბჭოურ-ბოლშევიკური სტრუქტურებისა და საკანონმდებლო ნორმების ბათილად ცნობა!

...და, რა „ბათილშიც“ არამცთუ ავტომატურად იგულისხმება „მოძმე“ დამპყრობის მიერ „შეთხზული“ ყველა ავტონომია (თავისი კონსტიტუციებით, რეფერენდუმებით და „ისტორიული პრეტენზიებით“), არამცთუ იგივე „ბათილობით“ დასტურდება, რომ ე.წ. „ცხინვალის რეგიონში“ საქართველოს თანხმობის გარეშე ვერასოდეს აღდგება საბჭოური პოლიტიკის დივერსიული პოლიტიკის ერთგული იარაღი – სოაო“ ...

არამცთუ იგივე დადგენილებით ძირშივე „ბათილია“ ჰერ დიტერ ბოდენის (ამ „დოქტორ რეინეკს – II“-ის) უტიფრულად ანტიქართული და ფსევდოდემოკრატიული ე.წ. „რეკომენდაციები“ შიდა ქართლიდან (ანუ საქართველოს გულიდან)“ სამაჩაბლოს ამოფლეთის „კანონიერების“ თაობაზე...

...მთავარზედ-მთავარი კი, ჩემის აზრით, ისაა, რომ ამ ისტორიული დადგენილების წარმოჩენით „საქვეყნოდ“ გაბათილდებოდა“ (სიტყვიერად მაინც) საქართველოს დაჩოქების შმაგი „ხუშტურით“ შეპყრობილი დემოკრატიული რუსეთის თვითმარქვია „სამშვიდობო მისიის“ ამაგით აფხაზეთ-ცხინვალში „ტალიკ-ტალიკი“ რუსი ბიჭების სისხლით და „პატიოსნებით“ დამყარებული „хрупкий мир“-ის სიმტკიცე და... ქართველი ლტოლვილების ოდენ გალში დაბრუნების „ტრიუმფი“.

და, რატომღაც ეჭვი არ მეპარება, რომ იმ დოკუმენტის საქვეყნოდ გამოჭენებას მხარს დაუჭერდა დღევანდელი პარლამენტის ყველა თუ არა, ის „მოქალაქე – დეპუტატები“ მაინც, რომელთაც უფრო ადრე, ექვსი წლის წინ, მაშინდელი პარლამენტის დეპუტატობის მანდატებით დაუჭირეს მხარი ამ დადგენილების მიღებას! (რატიფიკაციას).

III

რაკი ტრადიციებისა და ეროვნული ცნობიერების განახლების „უცილებლობა“ „შეგახსენეთ“ თქვენც და მკითხველსაც, ბატონო ზურაბ, ბატონო მამუკა, მე ერთ არცთუ „რიგით“ საქმესაც მივაქცევდი თქვენი და მკითხველის „გაერთიანებულ“ ყურადღებას:

მოგეხსენებათ, „სახელმწიფო“ არ უდრის „სახელმწიფოებრიობას“!

ისევე, როგორც „ხალხი“ არ უდრის „ერს“.

და, რომ „სახელმწიფოებრიობაც“ და „ერიც“ არის კატეგორია, რომელიც განსაზღვრულია განვლილი ეპოქებისა და საცხოვრისი ტერიტორიების ერთიანობით ეროვნულ ცნობიერებასთან, ანუ ერის მენტალიტეტის დამოკიდებულების ფორმასთან საკუთარი პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო ტრადიციების მიმართ!.

მე ამჯერად მხოლოდ ჩვენი ქართული პოლიტიკური ტრადიციების მიმართ საკანონმდებლო ხელისუფლების დამოკიდებულების სამ გადაუდებელ საკითხს მივაპყრობდი თქვენს ყურადღებას:

„არგადადება“ პირველი:

საქართველოს მრავალპარტიული პარლამენტების ტრიბუნიდან განახლებულ ქართულ სახელმწიფოსა და მის „ხალხებს“ – ბ-ნ გენადი სელეზნიოვის „ჩათვლით“, ყველანაირი რანგისა და მასშტაბის ქართველმა და არაქართველმა მოღვაწემ დასდო პატივი თავისი მისალმებით თუ „სეფე-სიტყვით!“

რატომღაც ასეთი პატივი დღემდე არ ღირსებია ქართული სახელმწიფოებრიობის ყველაზე თვალსაჩინო, ყველაზე ტრადიციულ, ყველაზე ამაგდარ და დღემდე ცოცხალ სიმბოლოს – ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელს!

ყველა ქართულ გვარიშვილთა შორის მხოლოდ გვარად ბაგრატიონის „იქით“ ჩანს ჩვენი ერისა და ყოველი ჩვენგანის ცნობიერების ფუძემდებლური ორი ცნება – „ქართველი“ და „საქართველო“, ვინაიდან გვარი ბაგრატიონი იყო და დარჩა ამ ორი დიადი ცნების შემქნელ და შემანივთებელ ყველაზე ღრმა „სიმბოლოდ“ – ქართული სახელმწიფოებრიობისა და დღევანდელი ჩვენი არც დროშა, არც გერბი და არც ჰიმნი არ მოიცავს და მთლიანობაში ვერ იტევს არც ცნება „ქართველს“ და არც ცნება „საქართველოს“...

საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან ქართველმა ხალხმა (და „არა-ხოლო“ მან!) ბოლოს და ბოლოს უნდა მოისმინოს ამ საგვარეულოს წარმომადგენლის მისასალმებელი სიტყვაც.

საკითხი მეორე:

თუკი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება თავის ღირსებად მიიჩნევს ილია ჭავჭავაძისა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერთა შთამბეჭდავი პორტრეტებით „გაწყობილი“ სათავსოებით“ მოიწონოს თავი (როგორც მათმა ლეგიტიმურმა მემკვიდრემ!), საპატიო და ძალიან საპატიო სტუმართა წინაშე (გენადი სელეზნიოვის უაღრესად შთამბეჭდავი ვიზიტის შემდეგ, სათაყვანო სათავსოებს უეჭველად მოწიწების ღიმილით მოინახულებს „გაუცინარი ხელმწიფე“ – ბ-ნი ვიქტორ ჩერნომირდინიც!), უეჭველად და თუ ილიას გვერდით „თავისი“ ადგილი მოუძებნა მის დაუძინებელ მტერს ნოე ჟორდანიას პირველ რიგში (!) უნდა ყოფილიყო გამონახული სათავსო დიდ ქართველ მონარქთა და სახელმწიფო მოღვაწეთა უდიადესი ამაგის საპატივცემოდ და... სათაყვანებლად.

ნოე ჟორდანიას ვაჟის, ბ-ნ რეჯებ ჟორდანიას შუამდგომლობით და ინიციატივით, როგორც ბ-ნმა გურამ შარაძემ გვაუწყა გადაწყვეტილია, რომ 1998 წელს ჩატარდეს პირველი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის 80 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე და... 1998 წელს ყოველი დღე თუ არა, „საერთოდ ეს წელიწადი“ მიეძღვნას ჩვენი 3000 წლიანი პოლიტიკური ისტორიის ამ უაღრესად იოლად გასახსენებელ „33“ თვიან სოციალ-დემოკრატიულ ხანას,...

ჩვენთვის და, საერთოდ, საქართველოს პოლიტიკური ისტორიისთვის სრულადაა ცნობილი ნოე ჟორდანიას, კაკო წერეთლის, კარლო ჩხეიძის, კედიას, ლორთქიფანიძის და სხვათა მოღვაწეობა და ღვაწლი (განსაკუთრებით ბ-ნ ნოე ჟორდანიასი)...

...ნაკლებადაა ცნობილი ბ-ნ რეჯებ ჟორდანიას პოლიტიკური თუ სხვა „ჟანრის“ მოღვაწეობის მასშტაბები... მაგრამ... ბატონო ზურაბ! ვინც 1990 წელს ესპანეთში თქვენივე ხელით გადაღებული კადრებით პირველმა გააცანით საქართველოს ერთ დროს ტახტის მემკვიდრედ აღიარებული ხორხე (გიორგი) ბაგრატიონი...

და თქვენ...ბატონო მამუკა, – რომელსაც, არა მგონია, უარ-გეყოთ დაღუპვამდე თქვენი პარტიის ლიდერის გიორგი ჭანტურიას პოლიტიკური სულიერება („მემკვიდრეობა“) და მათ შორის, მისი მონარქისტული (კონსტიტუციურ-მონარქისტული) შეხედულებანი და „ქმედებანი“...

და, თქვენც (და მეც!) ქალბატონებო და ბატონებო,

რომელთაც ბევრი გვსმენია ქართული სახელმწიფოებრიობის მწვერვალზე, ე.წ. „ოქროს ხანაზე“, მაგრამ დღემდე არა და არ გვიხილავს არც ამ ეპოქისა და არც მისი მწვერვალის თამარის იუბილე... (თუნდაც ერთი [...])

ეპოქისა, რომელიც გრძელდებოდა (ალმასურობით!) მთელი საუკუნე (თუ მეტი არა!!!)...

თამარისა, რომლის ღვაწლი არა მგონია რაიმეთი ჩამოუვარდებოდეს ნოე ჟორდანიას და კაკი წერეთლის ღვაწლს და რომლის საუკუნოვანმა ეპოქამაც დაგვიტოვა ქართველი სოციალ-დემოკრატების ოცდაცამეტთვიან ეპოქა „ნაამაგარზე“ არანაკლებად (მეტად თუ არა – „ვეფხისტყაოსნისა“ შამქორბასიანის „მეთაურობით“) – საღირალი ფასეულობანი...

...ნუთუ ჩვენი სათაყვანო საქართველოს სახელმწიფო ღირსებათა და პოლიტიკურ მონაპოვართა „ათვლის წერტილად“ უნდა ავიღოთ დამარცხებული და გაძევებული პოლიტიკური ტრადიციების „ნაამაგარი“?! (ტრადიციებისა, რომელსაც სათავეში ედგა ღრმად არაქართული, შეიძლება ითქვას, – ანტიქართული და ანტიილიასეული ტრადიციებით გაჟღენთილი ქართველი სოციალ-დემოკრატების უხერხემლო და უინიციატივო რაზმი) – და, ვერ ვიმჩნევდეთ და არ ვამჩნევდეთ ღირსებას ეპოქისა, რომელმაც შეგვქმნა და შეგვანივთა ერად და სახელმწიფოდ?!.

განა კი გაბედავდნენ რუსეთის პოლიტიკური ნებისა და იდეების შემყურე და მის „დალუპვაზედ“ მგლოვარე რუსეთიდან გამოქცეული ქართველი სოციალ-დემოკრატები, ქართული მონარქიული (მათი ენით – „ექსპლოატატორული და მჩაგვრელი“) – ტრადიციების გარეშე – დამოუკიდებლობის აქტის შექმნას და მის რეალიზებას?!.

რა თქმა უნდა, დღევანდელი ქართული სახელმწიფოს უახლოესი წინაპრის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ჭეშმარიტად დაუვიწყარი და ნამდვილად არდასავიწყი ტრადიციებია (თუმცა, არცთუ უსაფუძვლო იქნება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მიჩნევა უახლოეს „პოლიტიკურ“ წინაპრად)...

მაგრამ განა სამართლიანი და გონივრულია, რომ დღეს, საქართველოს პოლიტიკური და ტერიტორიული უფლების ასეთი ტლანქი თვალთმაქცობით გათელვის ჟამს შევბას ასევე ტლანქად დათრგუნული და ჩაწიხლული ტრადიციების იუბილეში ვეძიებდეთ?!

ბატონო ზურაბ! ბატონო მამუკა!

ქალბატონებო და ბატონებო!

თუ „აღმშენებლობის“ და „გაერთიანების“ განთიადზე ვართ მონატრებულნი და მკლავდაკაპიწებულნი, მაშინ ეროვნულ ღირსებათა და სიმხნევეთა მოსაკრებად გავიხსენებდით ჯერ „თამარს“ და მხოლოდ მერე „ნოესა!“

კი, ბატონო, გარდავიხადოთ 1998 წელი დემოკრატიული საქართველოს 80 წლის იუბილედ და მივაგოთ (შესაფერისი (!!!) პატივი მის მოჭირნახულეთ და მოამაგეთ...

მაგრამ მაშინ 1997 წელი 14 მაისიდან მივუძღვნათ თამარს და იმ დიად ეპოქას, რომლითაც 800 წელიწადია სულდგმულობს ქართველი ერის მკლავის სიმხნევე და სულიერი გამძლეობა!

და თუ XX საუკუნეში უკვე მესამეჯერ ვვეგმავთ „ვეფხისტყაოსნის“ იუბილეს, ვიანგარიშოთ ისიც, შეიქმნებოდა თუ არა ეს „უკვდავება“ – თამარისა და მისი ეპოქის გარეშე!

14 მაისი წმინდა თამარის დღეა, ქალბატონებო და ბატონებო!.

და, აგრეთვე, ბატონო ზურაბ და ბატონო მამუკა!

ლერი სიხარულიძე

5–16 ნოემბერი 1996 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტესტი პედაგოგებისათვის
# ქართული ენა და ლიტერატურა

II ვარიანტი

(გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №70)

31. კგამსახურდიას რომელი ნაწარმოების პერსონაჟია მნათე ოქოპირი?
1. „დიდი იოსებისა“;
2. „ტაბუსი“;
3. ნოველისა „ზარები გრიგალში“;
4. „მთვარის მოტაცებისა“;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

32. რა სათაურით გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა მეორე კრებული?
1. „ბოროტების ყვავილები“;
2. „გამწყრალი მუზა“;
3. „ლურჯი ფრინველი“;
4. „არტისტული ყვავილები“;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

33. რომელი ლექსის შესახებ ამბობს გალაკტიონი: „კრიტიკოსებს– სურთ, ამ ლექსით გაბან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლოკს შორის, ეს ლექსი დამოუკიდებელი ლექსია“?
1. „გემი „დალანდის“;
2. „სილაყვარდე, ანუ ვარდი სილაში“
3. „მე და ღამეს“;
4. „მერის“
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

34. რატომ არის ჯვარცმის კომპოზიციებზე გამოხატული თავის ქალა?
1. ნიშნად იმისა, რომ მაცხოვარი მართლა მიიცვალა;
2. ეს ადამის თავის ქალაა – პირველი ცოდვა იესომ გამოისყიდა ჯვარცმით;
3. თავის ქალა სიმბოლურად აჩვენებს – ვინც არ აღიარებს მაცხოვარს, მარადიულ სიკვდილს ეზიარება;
4. ჯვარცმის არცერთ კომპოზიციაზე არ არის გამოხატული თავის ქალა;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

35. ვინ არის ავტორი „პოეტური ინტეგრალებისა“?
1. აკაკი ბაქრაძე;
2. მიხეილ კვესელავა;
3. ნოდარ ტაბიძე;
4. ვახტანგ ჯავახაძე;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

36. ვინ დაეხმარა ვახტანგ მეექვსეს პირველი ქართული სტამბის გამართვაში?
1. ანთიმოზ ივერიელი;
2. ნიკიფორე ირბახი;
3. გრიგოლ ბაკურიანისძე;
4. მიხეილ თამარაშვილი;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

37. ვის ან რას გულისხმობს „აბრაამის ყვავილში“ დგურამიშვილი შემდეგ სტრიქონებში:

„ვით ღამე ბნელსა მზიანი
მოჰბმია დღე ნათლიერი,
ეგრეთ აბრამის ყვავილი,
დავითზე ნაყოფიერი“?

1. აბრაამის შვილს ისააკს;
2. ადამის ძის სწრაფწარმავალ სიცოცხლეს;
3. იესო ქრისტეს;
4. აბრაამის მრავალრიცხოვან შთამომავლობას;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

38. საიდან მომდინარეობს „შუშანიკის წამებაში“ დამოწმებული სიტყვები: „ესე ცხოვრება, ვითარცა ყუავილი ველთა, წარმავალ არს“.
1. ფსალმუნიდან;
2. მათეს სახარებიდან;
3. „გალობანი სინანულისანიდან“;
4. „ეკლესიასტედან“;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

39. ქვემოთ მოხმობილი რომელი ციტატა არ არის „შუშანიკის წამებაში“.
1. „ჯმნულმნცა ვარ მე თქვენგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“;
2. „და შენ ღმერთი ძილსა შიგან ნუ გგონიეს, რომელმან განუმზადის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყვის უფალი: მე მიუგო სიტყვა თქვენ წილ“;
3. „და იგინი ჯმნულნი, ცრემლითა სავსენი, ძლევისა მისთვის დიდებასა ღმრთისა მიმართ შესწირვიდეს და გამოვიდეს ციხით და წარვიდეს“;
4. „ჯმნულმცა ვარ მე თქვენგან, რამეთუ მე აქა არღარა მოქცევად ვარ და ქრისტე მე არა უვარყო და მათ არღარა განმიტეონ ცოცხლებით“;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

40. ვის დაავალა ილია ჭავჭავაძემ თავისი „გამოცანების“ ანონიმურად გავრცელება?
1. დიმიტრი ყიფიანს;
2. ნიკო ნიკოლაძეს;
3. გიორგი წერეთელს;
4. ივანე მაჩაბელს;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

41. ვინ შემოგვინახა ცნობა იმის შესახებ, რომ ალყაზევეს „ელგუჯა“ სტამბის მუშების თხოვნით გაუგრძელებია?
1. ვაჟა-ფშაველამ;
2. ბარბარე ყაზბეგმა;
3. დავით კლდიაშვილმა;
4. აკაკი წერეთელმა;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

42. აკაკი „ჩემს თავგადასავალში“ იხსენებს ერთ-ერთი ქართველი მოღვაწის შეხვედრას ალექსანდრე დიუმასთან თბილისში. ვინ იყო ეს ქართველი მოღვაწე?
1. ალექსანდრე ორბელიანი;
2. გრიგოლ ორბელიანი;
3. დიმიტრი ყიფიანი;
4. ივანე კერესელიძე;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

43. ვის ეკუთვნის ციტატა: „სრულიად შემთხვევით არ არის ის, რომ სამოციან წლების თაობათა ომი პოეზიის გარშემო ატყდა – აქ არ არი მარტო თაობათა ბრძოლა, აქ უფრო კულტურათა ბრძოლაა: ძველი ქართულის და ახალი რუსეთის იდეოლოგების. ქართული პოეზიის ყვავილს დაუწყს შეცვლა რუსულ ხორბლად“.
1. გრიგოლ რობაქიძეს;
2. იოსებ გრიშაშვილს;
3. კონსტანტინე გამსახურდიას;
4. ტიციან ტაბიძეს;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

44. ნლორთქიფანიძის ქვემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებთაგან რომლის პერსონაჟი ალიკვეცა ბერად?
1. „რაინდების“;
2. „დადიანის ასული და მათხოვარის“;
3. „მრისხანე ბატონის“;
4. „შელოცვა რადიოთი;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

45. ვინ არის ავტორი ცისფერყანწელთა მანიფესტისა „პირველთქმა“, რომელიც ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ გამოქვეყნდა?
1. ვალერიან გაფრინდაშვილი;
2. ტიციან ტაბიძე;
3. გიორგი ლეონიძე;
4. პაოლო იაშვილი;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

46. ვინ მიუძღვის ჯოჯოხეთსა და სალხინებელში დანტე ალიგიერს?
1. ვირგილიუსი;
2. ჰორაციუსი;
3. ბელზებული;
4. ბეატრიჩე;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

47. რა არის „დასდებელი“?
1. ბიბლიის კომენტარები;
2. საგალობელი, რომელიც კილოთი და საზომით ბაძავს პირველს – სხვა საგალობელს;
3. ეკლესიაში შესანახი წმინდანთა სამახსოვრო მოსახსენებელი წიგნი;
4. წმინდანთა ცხოვრების გადამუშავებულ-შევსებული რედაქცია;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

48. რომელი ფილოსოფოსი მიიჩნევდა საგანთა მრავალფეროვნების ძირითად წყაროდ მიწას, წყალს, ჰაერს და ცეცხლს, ხოლო ელემენტთა შეერთებისა და დაშლის საფუძვლად – მიზიდულობისა და განზიდულობის მოქმედებას?
1. იოანე პეტრიწი;
2. პლატონი;
3. ემპედოკლე;
4. დიონისე არეოპაგელი;
5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.


„აუდიტ“ AUDIT

აუდიტორული საქმიანობის
შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ
მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება და სხვა) აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურება და რეკომენდაციები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.
3. მატერიალურ ფასეულებათა აუდიტორული შეფასება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89


● კითხვა-მიგება

არქიმანდრიტი რაფაელი

# „იელოვას მოწმეების“ სექტის შესახებ



გაგრძელება. დასაწ. იხ „საქართველო“ №68, 71.

**შეკითხვა 12. უცდიათ თუ არა იელოველებს სოფლის დასასრულის თარიღის გამოცნობა, როგორც ამას ადვენტისტები სჩადიან?**

პასუხი: დიახ, არაერთგზის. რასელმა სოფლის დასასრული 1914 წლისთვის იჟარაუდა. იგი 1916 წელს გარდაიცვალა და მის მიერ ნაწინასწარმეტყველევ თარიღზე ორი წლით მეტხანს იცოცხლა. მისი მემკვიდრის, მოსამართლე რუტერფორდის პროგნოზით, არმაგედონი 1929 წელს უნდა აღსრულებულიყო. „იელოვას მოწმების“ ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელმა, ფრაკ ფრედერიკ უილიამმა, თავის წიგნში „საუკუნო ცხოვრება ღმერთის შვილთა თავისუფალ სამყაროში“, განაცხადა, თითქოს მას ღმერთმა გაუმხილა ჭეშმარიტება, რომ კაცობრიობის ისტორია 1972 წელს დასრულდებოდა, თუმცა შემდეგ ეს თარიღი 1975 წლისათვის გადაიტანა. როდესაც არც ეს წინასწარმეტყველება ახდა, სექტის წევრებმა ისეთ შოკში აღმოჩნდნენ, რომ ასიათასობით კაცი გამოვიდა ორგანიზაციიდან – სხვა სექტებში გადავიდნენ ან დამოუკიდებელი საზოგადოებები შექმნეს. ამის შემდეგ იელოველების სექტის მმართველი წრეები თავს იკავებდნენ კალენდარული თარიღის დასახელებისაგან, მხოლოდ ზოგადად ამბობდნენ, არმაგედონის ჟამი მოახლოებულიაო.

**შეკითხვა 13. როგორ იქცეოდნენ სექტის წევრები იმ თარიღის მოახლოებისას, რომელსაც მათი ხელმძღვანელი ისტორიის დასასრულად სახავდა?**

პასუხი: რიგით წევრებში ეს მშფოთვარე მოლოდინის სახით გამოიხატებოდა. ადამიანები თავს ანებებდნენ თავ-თავიანთ საქმეებს, სახლებს ტოვებდნენ. რაც შეეხება სექტის ხელმძღვანელებს, ზემოხსენებულმა მოსამართლე რუტერფორდმა, მაგალითად, განაცხადა, რომ სასწრაფოდ უნდა აგებულიყო სასახლე ძველი აღთქმის მართალთა მისაღებად, რომლებიც არმაგედონის შემდეგ აღსდგებოდნენ. ამისათვის მან დიდძალი თანხა შეკრიბა სექტის წევრებისაგან და სან-დიეგოსა და კალიფორნიაში სრა-სასახლეები წამოჭიმა, რათა დავით მეფეს, სოლომონს, აბრაამს და სხვა მართალთ, მასთან რომ მიბრძანდებოდნენ, ყველა პირობა ჰქონოდათ შექმნილი. კალიფორნიაში სასახლის ასაგებად 75 ათასი დოლარი დაიხარჯა – ეს იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა იყო. სექტის წევრებს კი რუტერფორდმა ურჩია, მოახლოებული კატასტროფის გამო არავითარი ქონება არ შეეძინათ.

**შეკითხვა 14. და რა იქნება, იელოველების აზრით, არმაგედონის შემდეგ?**

პასუხი: ქრისტეს მოსვლა და მკვდართა აღდგომა.

**შეკითხვა 15. როგორ წარმოუდგენიათ მათ ქრისტეს მოსვლა?**

პასუხი: ისინი ქრისტეს უხილავ მოსვლაზე ლაპარაკობდნენ, თუმცა თვით მაცხოვარმა თქვა, რომ მისი მოსვლა მთელი სოფლისათვის ცხადი იქნება: „ვითარცა ელვაი რა გამობრწყინდის მზისა აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსვლაი ძისა კაცისაი“ (მათე, 24,27); „ვითარცა ელვაი რა ელავნ ქუეშე ცისაითგან, ვიდრე ქუეშე ცისადმდე ბრწყინავნ, ესრეთ იყოს ძე კაცისაი დღეთა მისთა“ (ლუკა, 17, 24) „მოსვლად არს ძე კაცისაი დიდებითა მამისა თვისისაითა (მათე, 16, 27); „ესე იესო, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (საქმე, 1,11). იოანეს გამოცხადებაში წერია: „და იხილოს იგი ყოველმან თუალმან და რომელთაიგი უგუმირეს მას; და გოდებდენ ტომნი ქუეყანისანი“ (გამოცხ. 1,7).

**შეკითხვა 16. როგორ წარმოუდგენიათ იელოველებს ქრისტეს სამსჯავრო მეორედ მოსვლის შემდეგ?**

პასუხი: იელოველები ამ უკანასკნელ ესქატოლოგიურ მოვლენას ბუნდოვან ალეგორიად წარმოადგენენ. ისინი უარყოფენ საშინელი სამსჯავროს რეალობას და მიიჩნევენ, რომ ეს იქნება კაცობრიობის დაყოფა იელოველებად და მათ მოწინააღმდეგეებად. ამრიგად, სოფელს იესო ქრისტე კი არ განსჯის, არამედ რასელისა და ფრანცის წიგნები.

**შეკითხვა 17. იელოველები ასწავლიან, რომ ქრისტე უხილავად სუფევს დედამიწაზე 1874 წლიდან, 1914 წელს კი მისი მეუფება იწყება. გაამართლეს თუ არა ისტორიულმა მოვლენებმა ეს წინასწარმეტყველებანი?**

პასუხი: როგორც ზემოთაც ვთქვით, ქრისტეს მეორედ მოსვლა აშკარა იქნება და არა ფარული. რაც შეეხება 1874 წელს, ეს იყო პოლიტიკური დესტაბილიზაციის, რევოლუციური მოძრაობისა და მატერიალური ფილოსოფიის აყვავების ხანა. 1914 წელი მსოფლიო ომით და მილიონობით ადამიანი მსხვერპლით აღინიშნა. ამას მოჰყვა რევოლუციები, რომლებმაც შეძრეს მთელი მსოფლიო. ასე რომ, ეს წელი ქრისტეს მეუფების კი არა, მსოფლიო ჰეკატომბის – რევოლუციის დაწყებით აღინიშნა. ნიშანდობლივია, რომ ქრისტეს მოსვლის თარიღად 1914 წელს აცხადებდა არა მხოლოდ იელოველების მატერიალისტური სექტა, ანთროპოსოფოსების ოკულტურ-სპირიტისტული სექტაც. როგორც ჩანს, ანტირელიგიური ორგიები მათ ქრისტეს სახელს დაუკავშირეს, ისევე, როგორც ცნობილ პოეტსა და მასონ როზენკროიცერს – ალექსანდრე ბლოკს გამოჰყავს ქრისტე გალეშილი წითელარმიელების ბანდის წინამძღოლად (პოემა „თორმეტნი“).

**შეკითხვა 18. რა მოჰყვება ქრისტეს მოსვლას ამ მოძღვრების მიხედვით?**

პასუხი: მკვდართა აღდგომა, ოღონდ ეს აღდგომა საყოველთაო კი არ იქნება, არამედ ნაწილობრივი და შერჩევითი. სექტის წევრების გარდა სხვა მრავალი მიცვალებულიც აღსდგება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა მათ შეძლონ იელოველთა სწავლების გაცნობა და სპეციალურ გაკვეთილებზე სიარული. ისინი, ვისაც ეს სწავლება არ მოეწონება, მოკვდება და კვამლივით გაიფანტება ჰაერში, დანარჩენები კი „იელოვას მოწმეების“ საზოგადოების წევრები გახდებიან. ამრიგად, კაცობრიობის ერთი ნაწილი, რომელშიც „უიმედო ცოდვილები“ შედიან, საერთოდ არ აღსდგება. რა თქმა უნდა, წმიდა წერილი არავითარ საფუძველს არ იძლევა ასეთი წარმოდგენებისათვის.

**შეკითხვა 19. როგორ ესმით იელოველებს მიცვალებულთა აღდგომა?**

პასუხი: იელოველები, ისევე, როგორც ძველი და თანამედროვე მატერიალისტები, სულის უკვდავებას უარყოფენ. მათთვის აღდგომა არის ღმერთის მიერ ადამიანის სხეულის ხელახალი შექმნა გარდაცვლილი ადამიანის ნიმუშის მიხედვით, რომლის ფორმაც ღმერთის მეხსიერებაში ინახება. სული იელოველებს ესმით, როგორც სხეულის სიცოცხლე, მისი ფუნქციები, მათ შორის – ფსიქიკური ფუნქციები; ბიბლიის მრავალრიცხოვან მოწმობებს სულის უკვდავების შესახებ ისინი უარყოფენ, როგორც არასწორ თარგმანს, ანდა ცვლიან ხელოვნური, ბუნდოვანი, ალეგორიული განმარტებებით, რომლებიც მხოლოდ იელოველების მდიდარ ფანტაზიაზე მეტყველებენ. „და მოიქცეს მიწა ქუეყანისა შინა ვითარცა იყო, და სული მიიქცეს ღმრთისა მიმართ, რომელმან მისცა იგი“ (ეკლ. 12,7) (ამ ადგილას ნახმარი ძველებრაული სიტყვა „რუახ“ ძირითადად ადამიანის სულის შესატყვისია, განსხვავებით სიტყვისაგან „ნეფეშ“, რომელიც ყოველი არსების სამშვინველს აღნიშნავს). იელოველები ბიბლიის ამ მოწმობას, რომელიც მათ საწინააღმდეგოდ მეტყველებს, თვითნებურად ცვლიან და სიტყვა „სულის“ ადგილას სვამენ „სახეს“, რომელიც მათ სხეულოვან ფორმად წარმოუდგენიათ. გამოდის „უაზრობა – გარეგანი ფორმა, სახე ბრუნდება ღმერთთან, თითქოს ფორმა რაღაც ადამიანისაგან განცალკევებული არსება იყოს (შევახსენებთ, რომ იელოველების კატეგორიული მტკიცებით, სული მხოლოდ ცოცხალი სხეული და მისი ქმედების ძალაა).

გაგრძელება იქნება

# იუმორის გვერდი — წუთიშესვენება

ნული ბიბლიოთეკა

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



## ტავარიშ მარშალ გრუზინსკოი პოეზიი...

ლიტერატურის ინსტიტუტის დერეფანში იუზა (იოსებ) ლორთქიფანიძე, ქიცა (გრიგოლ) ხერხეულიძე, მირიან აბულაძე და კიდევ რამდენიმე თანამშრომელი დგას და „პურის ჭამისათვის“ წასასვლელად ემზადება. დაინახეს: დირექტორის, გიორგი ლეონიძის, კაბინეტიდან ინსტიტუტის სწავლული მდივანი გრიგოლ კაკიაშვილი დაფეთებული და აჭარხლებული გამოვარდა. ეტყობა, დირექტორმა იგი რაღაცაზე „შეახურა“. მალე კაბინეტის კარი ისევ იღება და გიორგი ლეონიძე გამოდის.

– სმირნა! – უცებ, ყველასაგან მოულოდნელად იუზა ლორთქიფანიძემ დაიყვირა, ბრახუნა სამწყობრო ნაბიჯით დირექტორისაკენ გაემართა, მის წინ „დაერჭო“, „ჩესტი“ აუღო და ყვირილითვე მოახსენა:

– ტავარიშ მარშალ გრუზინსკოი პოეზიი! ბაიცი ბრონე-ბუტილკოვიხ ვოისკ გენერალა ხერხეულიძე...

ბატონმა გიორგიმ გაიღიმა, იუზას წელზე ხელი მოხვია, კაბინეტში შეიყვანა და აკოცა. ცოტა საუბრის შემდეგ ეს „ჯარისკაცები“ ბატონ გიორგისთან ერთად „ორთაჭალის ბაღისაკენ“ გაემართნენ.

## მეტი აღარ შემაწუხოთ...

ნოდარ ალანია პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმღებ საგამოცდო კომისიაში იმყოფებოდა. გიორგი ლეონიძემ მას ვიღაც კახელი კაცი გააცნო და უთხრა: ამისი შვილი ამა და ამ ფაკულტეტზე აბარებს და მიმიხედე არავინ დამიჩაგროსო.

მოვიდა სექტემბერი. გახარებული ნოდარი, დავალება შევუსრულე და ვასიამოვნებო, ბატონ გიორგის კაბინეტში მის სიძესთან, ლეო ქავთარაძესთან ერთად თამამად შევიდა და ქაღალდებში თავჩარგულ დირექტორს ახარა:

– იმ ბავშვს არა მარტო ქართულ წერაში, თქვენი სიძის მეშვეობით სხვა საგნებშიაც წავუკარით ხელი და სტუდენტი გახდაო.

– ჰოდა, თუ კაცი ხარ, მასეთ საქმეებზე მეტი აღარ შემაწუხოთ! – საყვედურის ტონითვე თქვა ბატონმა გიორგიმ და თავი ნელ-ნელა ასწია.

ნოდარი და ლეო სახტად დარჩნენ. მანამდე ლეო ნოდარს სიცილით იმასაც კი ეუბნებოდა, ამისთვის პურ-მარილი ვაკისრებინოთო.

– თუ გახსოვს, ვინ იყო ის კაცი? – უცებ ფიქრებიდან გამოერკვა ბატონი გიორგი.

## კახელები და გურულები

1964 წლის 21 მაისს გიორგი ლეონიძემ თავის კაბინეტში მიხმო. გურიაში მოგზაურობიდან ახალდაბრუნებულია. ამა და ამ სოფლებში ვიყავი და შენი სოფელი რომელია და სად მდებარეობსო, მკითხა. ავუხსენი, ეგნატე ნინოშვილის სოფლიდან რომელ მხარეს და რამდენ კილომეტრზე იყო.

– გურია საქართველოს ევროპაა, – ცოტა ფიქრის შემდეგ მეუბნება დიდი პოეტი.

მანამდე გიორგი ლეონიძე გურიაში ერთხელ იყო ნამყოფი, ისიც კარგა ხნის წინათ და მხოლოდ ჩოხატაურის რაიონში, თავისი თანატოლი პოეტის გრიგოლ მეგრელიშვილის („მთის ნიავის“) ხსოვნის აღსანიშნავად. ბატონი გიორგი, ისე როგორც ნიკო კეცხოველი, თურქეთის ფრონტზე დაღუპულ ამ ახალგაზრდა შემოქმედს ხშირად ახსენებდა და მის პოეტურ ნიჭსაც დიდად აფასებდა.

გავიდა ხანი. ბატონი გიორგის მორიგ დაძახილზე მის კაბინეტში შევდივარ. რამდენიმე კაცი უზის.

– ეს კაცი გურულია, – ჩემზე უთითებს, – ესენი ჩემი მეზობლები, პატარძეულელები არიან. – ახლა მე მომიბრუნდა: – ნატანებში საპატიო კოლმეურნედ ამირჩიეს და მანდარინებს მიგზავნიან, ამათ წყალი გამოვუყვანე ყველაფერს ვუკეთებ, ახლა კი მომდგომიან და გადასახადს მთხოვენ...

გამეღიმა. სტუმრებს გავხედე – იშმუშნებოდნენ.

# იუმორი მეცნიერთა ცხოვრებიდან

## შარვალს ნიფხავს ეძახოდნენ

როცა ლიტერატურის ინსტიტუტში მომუშავე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაზე განიხილავდნენ პოემის სტრიქონს „ომგადახდილსა მშვენოდეს მე ენიანი კაბანი“, „კაბა“ სიტყვასთან დაკავშირებით აკაკი შანიძემ „შარვალის“ შესახებ აღნიშნა, რომ იგი ჩვენში სპარსული ენიდან შემოსული სიტყვაა და მთაში „ნიფხავს“ ეძახდნენო.

– მთაში ერთი ეცვათ და მას „შარვალს“ დაარქმევდნენ თუ „ნიფხავს“, სულერთია, ჩვენ ეს არაფერს გვაძლევს, – ღიმილით თქვა ივანე გიგინეიშვილმა.

## „ნოვატორობის“ ჟინით შეპყრობილებისადმი

ეს „გამოკვლევა“ და „ნოვატორული“ ლექსი გუგული (ვახტანგ) ბააკაშვილს ეკუთვნის:

ჩვენი საუკუნის 60–70–იანი წლები დაუცხრომელი პოეტური ძიების წლებია. ყველა ეძებს: დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც... ზოგიერთმა იპოვა კიდეც და მსწრაფლ შექმნეს ახალი პოეტური მიმდინარეობანი: პირველი პოეტური მიმდინარეობა – „ჩემს ჭკენებას არა აქვს საზღვარი“, მეორე – „ფეხებზე მკიდია მე ჩემი მკითხველი“, მესამე – „ენას არა აქვს ძვალი“ და სხვა. ამჯერად წარმოგიდგენთ ერთ ნიმუშს პოეტური მიმდინარეობიდან – „ჩემს ჭკენებას არ აქვს საზღვარი“.

### გრძნობა გათელა დილამ

არეულია ერთმანეთში დღეები,
ლამეები და სკორე
მთვარე შეეჯახა მზეს.
ცაში თვითმფრინავი ღმუის და
გალობს,
ნეტავ რას ფიქრობს ჩემი ბიცოლა?
ატომი დაშალეს...
მემწვანილე მწვანილს გაჰყიდის,
იასამანი თუჯს და ფოლადს მიუზღავს
წილს...
და თუ სამყარო დაინგრევა ან
აშენდება,
ბუნების კანონს,
ბუნების კანონს, სულერთია, ვერავინ
შეცვლის!
ძირშივე აღმოვფხვრათ ძველის
გადმონაშთი,
აქა-იქ დღესაც რომ დააბიჯებს:
ნუ მივაწვდით მკითხველს იმგვარ
დაწერილს,
რასაც იგი გრძნობს და გაიგებს.
ტალახში ამოსვრილ ბიჭუნას
ვუმზერდი,
ვარსკვლავებს ვინ დათვლის ცაზე?
და მე მომაგონდა ჩანჩქერი, ნილს
ბორი...
გრძნობა გათელა დილამ!..

## პატარა აფიორა, რომელმაც გაჭრა...

70–იან წლებში ლიტერატურის ინსტიტუტში კარგახანს ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილე და კულტურულ-მასობრივი სექტორის გამგე ვყავი. იმ დროს მეცნიერ-თანამშრომლებს სხვებთან შედარებით დიდი ხელფასები გვქონდა და ჩვენი პროფკავშირი მდიდარი ორგანიზაცია იყო. თავმჯდომარედ სიცოცხლით სავსე, დაუდგრომელი. ბუნების კაცი ნოდარ ალანია გახლდათ. ინსტიტუტში ბლომად გვყავდა ახალგაზრდობა, სასმელ-საჭმელზე ხელი ადვილად მიგვიწვდებოდა, წასვლა-წამოსვლა იოლი იყო და, მეტი რა გვინდოდა, წელიწადის ყველა თვეში ნაირ-ნაირ ექსკურსიებს ვაწყობდით. ხანდახან მსურველი იმდენად ბევრი იყო, ყველა ვერც კი მიგვყავდა. ვისარგებლე ამ „სისუსტით“ და სახუმაროდ გამოვაკარი განცხადება, რომ ამა და ამ დღეებში ვაწყობდით ექსკურსიებს... და ჩამოვწერე ოთხი მარშრუტი, სადაც სამში ისეთი ადგილები შევიტანე, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. აი, ეს მარშრუტები: 1. მცხეთა-ანანური-ყაზბეგი-ორჯონიკიძე; 2. ბორჯომი-შატბერდი-არტანუჯი; 3. აბასთუმანი-ზარზმა-ბერთა-ოპიზა; 4. ახალციხე-პარხალი-ოშკი-ხახული.

სახარჯო ფულს ვაგროვებდით და პირველ, ჩრდილოეთის მარშრუტზე შედარებით მეტი თანხა ჩავწერე, სამხრეთის მარშრუტები კი, ვითომცდა რესპუბლიკის გარეთ არ გავდიოდით, ძალიან იაფად გამოვიყვანე.

მაშინ თურქეთში წასვლა კი არა, იქით გახედვაც აკრძალული იყო. ინსტიტუტის ახალგაზრდები მოდიოდნენ და მოდიოდნენ და სიაში ეწერებოდნენ. ბევრი მუშტარი აღმოაჩნდა სამხრეთის მარშრუტებს. მეხვეწებოდნენ, სამივეში ჩამეწერა. მე რა თქმა უნდა, ერთხანს თავპატიჟს ვიდებდი, უარს ვეუბნებოდი, ბოლოს, „დიდი ხათრით“ სურვილს ვუსრულებდი. ნოდარს სიებს ვაცნობდი და გულიანად ვიცინოდით, რომ მათგან ერთიც არ გამოდგა ისეთი, ბრმად არ გვნდობოდა და დაფიქრებულიყო, სად იყო ეს ძეგლები.

## არარსებული ქურქები...

იმავე წლებში ქურქები დიდ მოდაში იყო და ჩვენც საპირველაპრილოდ გამოვაკარით სახუმარო განცხადება, რომ ინსტიტუტში მიღებულია ქალის ქურქები („დუბლიონკები“) და მსურველებმა წარმოადგინონ დასაბუთებული განცხადებები. ფასი, რაც შეიძლებოდა, იაფი დავადეთ. მეტი დამაჯერებლობისათვის ისიც დავძინეთ, რომ ვინც მწერალთა კავშირის წევრია, იქ მიიღებს და აქ არ მიეცემაო.

შემოვიდა და შემოვიდა განცხადებები და სასაცილო ის იყო, რომ ამაშიაც იმდენი სიზარმაცე გამოეჩინათ, ყველა განცხადება ერთისაგან მოდიოდა და ერთმანეთისაგან გადაწერილი იყო: ამა და ამ წლიდან ვმუშაობ ინსტიტუტში, პროფკავშირიდან არასდროს არაფერი მისარგებლია და გთხოვთ, ამჯერად ერთი ქურქი მაინც შემახვედროთო.

## ბესო ჟღენტის „სენტენცია“...

1964 წლის ნოემბერია, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ტაშკენტის მატჩის მეორე დღე. ინსტიტუტის თანამშრომლები, აღფრთოვანებული იმით, რომ ჩვენი ფეხბურთელები, როგორც იქნა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ, საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების ოთახში თავშეყრილი ვართ და წუხანდელ ამბებზე ვხორხოცებთ და ვმხიარულობთ. შემოვიდა ამ განყოფილების ხელმძღვანელი ბესო ჟღენტი და გაბადრული სახით გამარჯვება მოგვილოცა. იკითხა, ჩვენებმა მართლა კარგად ითამაშესო?

– როგორ, თქვენ რადიო-რეპორტაჟი არ მოგისმენიათ? – გავიკვირვეთ ჩვენ.

– არა, არ მომისმენია, – იყო პასუხი, – ფეხბურთის გულშემატკივარი არა ვარ. არ მიყვარს იმიტომ, რომ ულოგიკოა. აბა, რა არის ეს, ქუთაისის „ტორპედომ“ ძლიერ გუნდებს მოუგო, სუსტებთან წააგო...

– მნიშვნელობა აქვს, სად ხდება თამაში, – განმარტება დაიწყო ერთმა, – ქუთაისის „ტორპედომ“ ძლიერ მეტოქეებს შინ, თავის მოედანზე მოუგო...

– ეს არის სწორედ ულოგიკობა, – სიტყვას აწყვეტინებს ბატონი ბესო, – ლექსის წერაში, კი ბატონო, მაგრამ, სადაც უნდა დამსვათ, ილია ხოშტარიამ ლაპარაკში როგორ უნდა მაჯობოს! – იცინის ბატონი ბესო და ვიცინით ჩვენც.

– რადიო-რეპორტაჟის დროს ნათესავთან სტუმრად ვიყავი და იძულებული გავხდი, იქ დავრჩენილიყავი. – განაგრძობს ბატონი ბესო.

– რატომ? – ვეკითხებით.

– რატომ და, მთელი ქალაქი ფეხზე რომ დადგა, ქუჩაში გამოვიდა და ზეიმობდა, შევშინდი: ისევ ხელი არ მტაცონ და არ მომთხოვონ, რაღაც გვითხარიო... ასე იყო 1956 წლის 9 მარტს. რუსთაველზე მივდივარ, ხელი მტაცეს, გალავანზე შემაყენეს და მითხრეს: თქვენი აზრი გვაინტერესებსო. საქართველოსა და სტალინზე სათქმელის მეტი რა მქონდა და მაშინ იოლად გამოვედი. მაგრამ ახლა იგივე რომ გამეორებულიყო, რა მექნა, ფეხბურთზე რა ვიცი და რა უნდა მეთქვა?! – სიცილით ამთავრებს ბატონი ბესო და ჩვენც გულიანად ვიცინით.

## ნახე, შიგ რეცენზიაც თუა...

ერთმა მეცნიერმა და მწერალმა ლიტერატურის ინსტიტუტში თანამედროვე ლიტერატურის მკვლევარს გულისამაჩუყებელი წარწერით თავისი ახალგამოსული რომანი გამოუგზავნა. ამ მკვლევარს მეცნიერ-მწერლის ადრინდელ რომანებზე არაერთი აღფრთოვანებული რეცენზია ჰქონდა გამოქვეყნებული.

– ნახე ნახე რეცენზიაც თუა შიგ. არ შეგეშინდეს, უსათუოდ დადებითი იქნება! – ეკითხება და ამხნევებს წიგნის მიმღებს როლად ბერიძე

შეკრიბა ბორის დარჩიამ

# აინშტაინი და სიყვარულის ფარდობითობა

თითოეულმა ჩვენთაგანმა იცის, თუ რაოდენ დავალებულია თანამედროვე მეცნიერება აინშტაინისაგან. უკანასკნელ დღეებამდე არავინ უწყოდა, რომ თავის „რევოლუციურ სამეცნიერო აღმოჩენამდე“ ორი წლით ადრე საუკუნის გენიამ დაამუშავა (და მერე როგორი მათემატიკური სიზუსტით!) – ქორწინების „ფარდობითობის თეორია“.

მოქმედება მიმდინარეობს 1914 წელს, ბერლინში პირველ მეუღლესთან, მილევა მარიჩთან ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ. ახალგაზრდა წყვილს ამ დროისთვის უკვე ორი ვაჟიშვილი შეეძინა, მაგრამ ცოლქმრული ცხოვრება ულიმღამოდ მიედინება. დღეს, იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში გამოფენილი დიდი მეცნიერის 430 პირადი წერილი აშკარად გვამცნობს, რომ უკვე იმ დროს აინშტაინს იდუმალი სატრფიალო მიმოწერა ჰქონდა თავის ბიძაშვილ ელზა ლოვენტალთან, რომელთანაც 1919 წელს იქორწინა.

მაგრამ, ჯერ სანამ საქმე აქამდე არ მისულა, ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი საძულველი ოჯახური ურთიერთობების მარწუხებიდან თავის დახსნას ცდილობს. ეს ბრძოლა მეცნიერის ხასიათზე მოქმედებს. იგი სულ უფრო და უფრო ბოროტი და ენამწარე ხდება. აინშტაინს მეუღლის დანახვაც კი აღიზიანებს, მაგრამ ამასთანავე, არ სურს თვით იყოს განხეთქილებისა და ოჯახის ნგრევის ინიციატორი. და აი, ახალგაზრდა ალბერტი გამოსცემს „კოდექსს“, რომელმაც, მისი აზრით, გარკვეული მიმართულება უნდა მისცეს ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს და რომლის პუნქტების დაცვა მისი მეუღლის ცხოვრებას ნამდვილ ჯოჯოხეთად გადააქცევს.

ამ კოდექსით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გენიაც შეფარდებითი ცნებაა, ისევე როგორც ყოველივე ამქვეყნად. ამრიგად, თუკი გენიოსის შვილების დედას სურს დატკბეს დიდებული მეუღლის კომპანიით, მან სიტყვა-სიტყვით უნდა აღასრულოს მისი ნება, რომელიც მუხლებადაა ჩამოყალიბებული ამ „კოდექსში“. აი, ტექსტიც:

„I. თქვენ იზრუნებთ იმაზე რომ: ა) ჩემი თეთრეული მუდამ წესრიგში იყოს; ბ) სამჯერ დღეში მომართვათ საჭმელი ჩემს სამუშაო ოთახში; გ) დაალაგოთ ჩემი საწოლი ოთახი და კაბინეტი, მაგრამ არავინ არ უნდა ახლოს ხელი ჩემს საწერ მაგიდას.

II. თქვენ უარს ამბობთ ჩემთან პირად ურთიერთობებზე, მაგრამ სხვების თანდასწრებით დაიცავთ ქცევის ნორმებს. განსაკუთრებით, გახსოვდეთ ერთი: არ მომთხოვოთ სალამოობით თქვენს გვერდით ყოფნა და არც თქვენთან ერთად მოგზაურობა.

III. ნუ მოითხოვთ ჩემგან ნურავითარ გრძნობას და არც არასოდეს დაგცდეთ სასაყვედურო სიტყვა. მყისვე გაეცით პასუხი ჩემს კითხვებს. პირველი მოთხოვნისთანავე დატოვებთ ჩემს ოთახს და სამუშაო კაბინეტს. პირობა დადეთ, რომ ცუდს არას იტყვით ჩემზე, განსაკუთრებით ბავშვების თანდასწრებით, არ დასცემთ მათ თვალში ჩემს ავტორიტეტს არც სიტყვით, არც საქმით“.

ესოდენ ტირანული და მეთოდური მკურნალობის შედეგად, მილევა და აინშტაინის ვაჟიშვილი ერთხელ და სამუდამოდ დასახლდნენ შვეიცარიაში. ორი წლის შემდეგ კი მსოფლიომ გაიცნო ფარდობითობის თეორია.

აინშტაინის პირადი წერილები სულ მალე გაიყიდება ნიუ-იორკში, „კრისტის“ აუქციონზე. „აინშტაინის ფონდი“ იმედოვნებს, რომ ხელნაწერების ფასი 15 მილიონ ფრანკს მიაღწევს.

პატრის კლოდი

(„მონდი“, 18 ნოემბერი, 1996 წ.)

თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა

## როლანდ მაისურაძის სხოვნას

უშენოდ გათენდა ახალი წლის დილა, კიდევ ერთი კაცური კაცი დააკლდა ერთ ქართულ ოჯახს, სამშობლოს. ლხინი ჭირად შეიცვალა. ეს რა უცნაური ბედი გხვდა წილად, შენი ოჯახის, სამშობლოსგან შორს მოგიწია ბედითი სიკვდილი.

ვეთხოვებით შენს ფიზიკურ არსებობას, მაგრამ ვერაფერი წაშლის შენს ნათელ ხსოვნას ჩვენში.



ნათესავები და მეგობრები

## კაიფვორდი



თარაზულად: 8. „გაცინებული“ მოხეტიალე ბერი; 9. ქალაქი ჩრ.კავკასიაში, რომელიც არ იღუნება; 10. უმცროსი ოფიცერი ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებსაც „ბავშვებად“ თვლიან (რუს.კავშ.); 13. „რიალზე“ გაყიდული ხეობა საქართველოში; 15. ანტიკური ხანის „უმი“ ღვთის მსახური; 16. მთათა სისტემა, რომლებიც ერთმანეთისთვის „დები“ არიან; 17. „თონესავით“ გამახურებელი სირბილი შორ დისტანციაზე; 20. ალიმენტების ურჩი გადამხდელი (ფილმიდან); 23. „ილუზია“, რომელიც ონელებს შაბათობით მოსდით თავში; 25. „ნიას“ ანგინიანი ქვეწარმავალი; 26. „გაცინებული“ რუსი მსახიობი; 27. „დონელი“ ქალი, რომელმაც ამერიკა სიმღერით დაიპყრო; 28. „რამაზას“ მაჰმადიანური თვე; 31. გველი, რომელიც ადრე არავის უყვარდა, ახლა ქართველმა ქალებმა შეიყვარეს; 32. „ზარების“ რეკვით გამოწვეული დანაკარგი; 35. „ლიას“ მშვიდი ცხოვრება; 36. „ბატი“, რომელიც ყირების კეთების ოსტატია; 37. „დაბომბილი“ ქალაქი ინდოეთში; 38. „სინზე“ დადებული მონასტერი, სადაც თორნიკე ერისთავი ბერად აღიკვეცა; 40. „გამოსახდელი“ სენი; 41. „რუხი“ ფერის, ადამიანის საბრუნავი ნაწილი (რუს.კავშ.).

შვეულად: 1. „მადიანი“ წიაღისეული; 2. სასაფლაო, სადაც ქურდი კოლა პროფესორის გვერდში მარხია; 3. ინდოელი „ანა“, რომელიც თავგადასავლებს ეძებდა; 4. „ტენიანი“ ღუმელი; 5. „სალად“ აშენებული სოფელი თეთრი წყაროს რაიონში; 6. კლიმატური კურორტი შავი ზღვის პირას, რომელსაც ვერ გაიგეს, „აკლია“ თუ არა; 7. „გარუსებული“ ავტობუსი; 11. საპონი, რომელიც აფხაზეთსა და სამეგრელოში ყაჩაღობდა; 12. „ლერის“ უზარმაზარი მანქანა; 14. კერძი, რომელიც ქაჯანას მაგივრობას სწევს კახურ ქელეხში; 18. მღრღნელი „თინა“; 20. „ჭურში“ ჩასაყრელი მსხალი; 19. სუფთა „ენა“; 21. „შანშეს“ ბიჭი, რომელმაც ლაპარაკით ააშენა მთელი ქუთაისი; 24. „რალში“ მონაწილე ყაჩაღი; 27. ტანსაცმლის „მომღერალი“ ფირმა; 29. „გახ'ხე“ გასასროლი იარაღი; 30. „ლალის“ თმები; 33. „ბოხ“ ხმაზე წამოწყებული აჯანყება; 34. ესპანეთის „უმადო“ ფლოტი, რომელიც ინგლისმა გაანადგურა; 39. ციხის „ეკლიანი“ საწოლი.

აკაკი ცოტაძე

### წინა კაიფვორდის პასუხები

თარაზულად: 1. აბატი; 6. ადმინისტრატორი; 7. ადაჯიო; 8. კირიონი; 10. ნახირი; 11. ვირტუოზი; 13. მაიორი; 17. აქლემი; 19. მაგია; 20. რიდე; 21. აბვერი; 22. აბორტი; 25. ადმირალი; 28. ელეგია; 31. ბანანი; 32. ია; 34. ბარიგა; 35. ძეხვი; 36. კუპატი; 37. როზა; 39. კობრა; 40. ჟურნალი; 41. ტარიფი; 42. ჟოგული.

შვეულად: 1. აგიტაცია; 2. ტარტაროზი; 3. რეიდი; 4. წამწამი; 5. ანაკონდა; 9. გულივერი; 10. ნაძალადევი; 12. ზვავი; 13. მიქელა; 14. იადონი; 15. ბარაკი; 16. კართაგენი; 18. ლაურა; 23. ორანჟი; 24. ტრანსპორტი; 26. მანაგუა; 27. ალიგატორი; 29. აბონემენტი; 30. კი; 33. ადვოკატი; 38. უსუპი.

## კროსვორდი



თარაზულად: 1. ლეგენდარული ბერძენი მეცნიერი; 2. დეკორატიული მცენარე; 5. ქრისტიანობისათვის წამებული მაჰმადიანი კაცი; 6. დაავადება; 7. დიდი ტანის მცოხნელი ცხოველი; 9. ყვითელი ფერის ძვირფასი ლითონი; 11. დაკოდილი ცხენი – ლაფშა; 13. ჭრილობა, წყლული; 14. სიგრძის საზომი ერთეული; 15. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი; 17. მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე; 19. ორი პარალელური კუნთი ხორხში; 20. კარის ან ფანჯრის დასაკეტი რკინა, რომელიც გადაეცმევა კოჭაკს; 21. ფეხსახსრიანი შხამიანი ცხოველი; 23. ჰაერში წვრილ-წვრილ წვეთებად დამდგარი ორთქლი; 24. კომში ანუ... 25. სახლის ტიპი დას.საქართველოში; 27. მონარქიული სახელმწიფო.

შვეულად: 1. საპენტი ჯოხი; 2. ნარნარად ფრენა; 4. მაღალი ძელი გემზე იალქნისათვის; 5. თხელი ქსოვილი, რომელიც ყოფს ერთმანეთისაგან ღრუებს; 6. უსაქმოდ მოხეტიალე; 8. უძრავი ქონების დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით; 9. სიტყვა, რომელიც ბგერითი შედგენილობით ემთხვევა სხვა სიტყვას, მნიშვნელობით კი განსხვავდება მისგან; 10. შეიარაღებული ბრძოლა სახელმწიფოებს შორის; 11. ჩვენებითი ნაცვალსახელი; 12. კომიკური მუსიკალური წარმოდგენა; 15. კაცი, რომელმაც საყვირით გაითქვა სახელი; 16. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; 17. პირობითი გამოსახულება; 18. სიარულის დაწყების განკარგულება; 22. გარემოცვა, ბლოკადა; 23. მცენარე; 24. დიდი საცეკვაო საღამო; 26. ფირნიში.

### წინა კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ფორა; 3. ბაჯო; 5. სულფიდინი; 8. ინდი; 10. აპკი; 12. კოლიბრი; 14. ილიკო; 15. მურეი; 16. ილტოზა; 17. კლერკი; 18. ქინძი; 19. ირიდა; 21. ანათემა; 22. შუია; 24. ჯიქი; 25. სილიციუმი; 26. იერი; 27. „აიდა“.

შვეულად: 1. ფეტიში; 2. აირი; 3. ბაია; 4. ორთითი; 6. ფელდმარშალი; 7. დებარკადერი; 9. დრიბლინგი; 11. პარაკლისი; 12. კროზია; 13. იმპერია; 18. ქაშაყი; 20. აჯილდა; 23. ასლი; 24. ჯინა.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444



ეროვნული ბიბლიოთეკა